

IN THIS ISSUE:

- Towards Evaluating the Historicity of the Claim that Peter the Iberian Descended from the Iberian Royal Family
- Love in Shota Rustaveli's *The Man in the Panther's Skin* and Chrétien de Troyes' Arthurian Romances
- Surion-Vani Patron Goddess: "Ανασσα Σουρι"

ნოშეაშია:

- ხედვა მდინარე აკამპსისის ბიზანტიური ნაპირიდან
- პეტრე იბერის იბერიის სამეფო ოჯახიდან წარმომავლობის ისტორიული დასაბუთების თაობაზე
- სიყვარული შოთა რუსთველის *ვეფხისტყაოსანსა* და კრეტიენ დე ტრუას არტურის ციკლის რომანებში



*In a broad sense Kartvelology embraces study of Georgian culture, history and all fields of the humanities: linguistics, literary criticism, art, archaeology, folklore, ethnography, source study.*

*"The Kartvelologist" is a bilingual (Georgian and English) academic journal, covering all spheres of Kartvelological scholarship. Along with introducing scholarly novelties in Georgian Studies, it aims at popularization of essays of Georgian researchers on the international level and diffusion of foreign Kartvelological scholarship in Georgian scholarly circles.*

*"The Kartvelologist" is issued both in printed and electronic form. In 1993-2009 it came out only in printed form (#1-15). The publisher is the "Centre for Kartvelian Studies" (TSU), financially supported by the "Fund for Kartvelian Studies". In 2011-2013 the journal is financed by the Shota Rustaveli National Science Foundation.*

The Editorial Board: Foreign authors, together with their Georgian colleagues, are members of the Editorial Board of *The Kartvelologist*, taking an active part in shaping the scholarly style and form of the journal, authors of papers, occasionally reviewers of papers to be published, and popularizers in their home countries and scholarly centres of topics of Georgian Studies.

Editor-in-Chief: Elguja Khintibidze

Bakhtadze Michael (History) – Georgia; Beynen Bert (Rustvelology) - Philadelphia, USA; Boeder Winfried (Linguistics) – Germany; Buachidze Gaston (Kartvelology) – France; Chikhladze Nino (History of Georgian Art) – Georgia; Chotiuary-Jünger Steffi (Georgian literature) – Germany; Doborjginidze Nino (Linguistics) – Georgia; Enoch Reuven (The Georgian language, Georgian-Hebrew cultural contacts) – Israel; Fähnrich Heinz (Georgian linguistics) – Germany; Kojima Yasuhiro (Kartvelian languages) – Japan; Kudava Buba (Study of Manuscripts) – Georgia; Licheli Vakhtang (Archaeology) – Georgia; Magarotto Luigi (Georgian literature) – Italy; Melikishvili Damana (The Georgian language) – Georgia; Nikoleishvili (Georgian literature) – Georgia; Nocun Przemyslaw (Archaeology) – Poland; Outtier Bernard (Medieval Studies) – France; Ratiani Irma (Literary criticism) – Georgia; Shurgaia Gaga (Georgian literature) – Italy; Sikharulidze Ketevan (Folklore) – Georgia; Tuite Kevin (Ethnography and folklore) – Canada.

*Each issue of the journal is prepared and published by the editorial staff: Khintibidze Elguja, Rusieshvili Manana, Melikidze Tamar, Javakhadze Irina, Guliasvili Sophio, Vardosanidze Tsira.*

In some cases the Editorial Board, the staff and the reviewers do not share the stylistic peculiarities and the views expressed in the papers published.

## CONTENTS

### GEORGIAN LITERATURE IN ENGLISH TRANSLATIONS

**Shota Rustaveli**, *The Man in the Panther Skin*, The Letter Written by Nestan-Daredjan to her Beloved ----- 6

### STUDIES: HISTORIOGRAPHY

**Anthony A. M. Bryer**: A View from Byzantine Side of the River Akampsis ----- 43

**Cornelia B. Horn**: Towards Evaluating the Historicity of the Claim that Peter the Iberian Descended from the Iberian Royal Family ----- 72

### STUDIES: GEORGIAN LITERATURE

**Nugesha Gagnidze**: Grigol Robakidze's Works Written in the German Language (Prometheus's Offspring) ----- 96

### STUDIES: RUSTVELOLOGY

**Sally Newell**: East Meets West along a Fault Line: Love in Shota Rustaveli's *The Man in the Panther's Skin* and Chrétien de Troyes' Arthurian Romances ----- 127

### STUDIES: ARCHAEOLOGY

**Vakhtang Licheli**: Bronze Age Krater form Atskuri -----157

**Temur Todua**: Surion-Vani Patron Goddess: *Ανασσα Σουπι*-----166

### KARTVELOLOGICAL EVENTS

**Maka Elbakidze**: International Symposium *Contemporary Issues of Literary Criticism* - A "Visit Card" of Contemporary Georgian Philology -----181

## ს ა რ ჩ ე ვ ი

### ძართული ლიტერატურა ინლისურ თარგმანებში

შოთა რუსთველი: ვეფხისტყაოსანი, ნესტანის წერილი  
საყვარლისადმი ----- 5

### კვლევები: ისტორიოგრაფია

ანტონი ბრიერი: ხედვა მდინარე აკამპსისის ბიზანტიური  
ნაპირიდან ----- 20

კორნელია ბ.ჰორნი: პეტრე იბერის იბერიის სამეფო ოჯახიდან  
წარმომავლობის ისტორიული დასაბუთების თაობაზე ----- 61

### კვლევები: ძართული ლიტერატურა

ნუგეშა გაგნიძე: გრიგოლ რომაქიძის გერმანულენოვანი  
მემკვიდრეობა (*პრომეთეს ნაშეივნი*) ----- 81

### კვლევები: რუსთველოლოგია

სალი ნიუველი: აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეხვედრის  
მოჯნაზე: სიყვარული შოთა რუსთველის *ვეფხისტყაოსანსა* და  
კრეტიენ დე ტრუას არტურის ციკლის რომანებში ----- 108

### კვლევები: არქეოლოგია

ვახტანგ ლიჩელი: ბრინჯაოს ხანის კრატერი აწყურიდან ----- 144

თემურ თოდუა: სურიონ-ვანის მფარველი ღვთაება -  
“*Αιασσα Σουρι*” ----- 163

### ძართველოლოგიური ძრონიკა

მაკა ელბაქიძე: საერთაშორისო სიმპოზიუმში  
„ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ -  
თანამედროვე ქართული ფილოლოგიური სკოლის სავიზიტო  
ბარათი ----- 169

## ნესტანის წერილი საყვარლისადმი

„წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა“ ვეფხისტყაოსნის საუკეთესო პასაჟთაგან ერთი პირველთაგანია. სწორედ მასშია გამოკვეთილი უსაზღვრო და თავგანწირული, რომანტიკულ-სენტიმენტალური შეფერილობის სიყვარულით შთაგონებული და ამ სიყვარულის გადარჩენისთვის მებრძოლი გმირი ქალის ადამიანურ-რეალური წარმოსახვიდან მოაზრებული ჰიპერბოლურად არარეალური, იდეალური მხატვრული სახე. ჩემი კვლევა-ძიების თანახმად, სწორედ ამ მხატვრული პროტოტიპის საფუძველზეა შექმნილი შექსპირის შესანიშნავ ქალ-პერსონაჟთაგან ერთ-ერთი საუკეთესოს - იმოჯენის მხატვრული სახე, რომელსაც ინგლისური ლიტერატურული კრიტიკა ამგვარივე ნიშნებით ახასიათებს.

ნესტანის წერილი ყველაზე კომპაქტურად გამოავლენს რუსთველის მსოფლმხედველობითი კრედოს ერთ პრინციპულ თეზას: კეთილი და მფარველი ღმერთი, რომლისკენაც მიისწრაფის ნესტანი, და ცრუ და დაუნდობელი ამქვეყნიურობა, მრისხანე, გარდაუვალი ბედიტურთ, რომელსაც აბრალებს ნესტანი თავისი სატრფოს და საკუთარ უბედურებას.

რუსთველი აქვე მიაჩნის ამქვეყნიური მოღვაწეობის ერთ უმთავრეს პრინციპზე. - საკუთარი ქვეყნის სამსახურზე.

ამავე წერილში შეიძლება ამოვიკითხოთ კიდევ ერთი ფილოსოფიური თეზა: მიწიერი ცხოვრებიდან წასული ადამიანის ერთადერთი დანატოვარი - როგორც რაობა, რომელიც მანამდე არ არსებობდა - მისი არსებობა მოგონებაში.

ვეფხისტყაოსნის ტექსტი გადმობეჭდილია პოემის 1966 წლის ვარიანტებიანი გამოცემიდან (ა. შანიძისა და ა. ბარამიძის გამოცემა), სტროფების შესაბამისი ნუმერაციითურთ.

მარჯორი უორდროპის, ვენერა ურუშაძის, ქეთრინ ვივიანისა და რობერტ სტივენსონის ინგლისური თარგმანები იმავე გამოცემებიდან, რომლებზედაც იყო მითითებული „ქართველოლოგის“ 21-ე ნომერში გამოქვეყნებული ავთანდილის ანდერძის პუბლიკაციისას.

ელგუჯა ხინთიბიძე

### The Letter by Nestan-Darejan to her Beloved

The letter by Nestan-Darejan to her beloved is one of the best passages of *The Man in the Panther Skin*. It reveals hyperbolically unreal, ideal and artistic image of the heroine Nestan, who is depicted as being far from the usual humanly imagination, fighting to save her romantic and sentimental, unlimited love. According to the results of my research, this artistic prototypic image of Nestan served as the basis for the artistic image of Imogen, one of the distinguished heroines of Shakespeare. Features, similar to Nestan, are attributed to Imogen by the English Literary critique.

The letter by Nestan reveals one principal thesis of Rustaveli's worldview: on the one hand, the kind and protective God to whom Nestan longs for and the deceitful and ruthless reality, with fatal fate, which Nestan blames for her own and her lover's ill fate, on the other.

At the same time, Rustaveli points to one of the primary principles of existence in this world, being a servant to one's own motherland.

The letter presents one more philosophical thesis: the only reminder of the person leaving the material world is their presence, in its newly acquired essence, in the memory of the people.

The text of *The Man in the Panther Skin* was published from the edition with variants, published in 1966 (edited by A. Shanidze and A. Baramidze), with the corresponding numbering of stanzas.

Text was taken from the translations by Marjory Wardrop, Venera Urushadze, Katherine Vivien and Robert Stevenson as indicated in "Avtandil's Testament" published in the 21<sup>st</sup> issue of *The Kartvelologist*.

*Elguja Khintibidze*

წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი

THE LETTER WRITTEN BY NESTAN-DAREDJAN TO HER BELOVED

1292. „აწ საყვარელსა მიწერს გულ-ამოსკვნილი, მტირალი,  
მისმანვე ცრემლმან დაუვსის, ვის ედებოდის კირ-ალი!  
დაწერა წიგნი, მსმენელთა გულისა გასაგმირალი,  
ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჰვირალი.

Wardrop 1262. "Now will I, sobbing, weeping, write to my beloved; by the tear of that one who burns him is a man's fire quenched." She wrote a letter piercing the heart of the hearers. She splits the rose (opens her mouth); there appears the translucent crystal.

Urushadze 1279. Nestan, bitterly weeping, writes her beloved a letter. Surely her tears will soethe the fires consuming his Losoml  
Surely the words she wrote must soften the heart of a stone!  
Her teeth flashed whiter than crystal when the rose of her lips unfolded.

Vivian. In heartrending Phrases Nestan wrote this letter for Tariel, strewn with tears:

Stevenson. And now, sobbing and weeping, she penned her lover a letter: the tears that she shed quenched the fires that consumed her. The words that she wrote would pierce any heart through, like lances: her lips rose was opened to show her teeth, shining crystal.

1293. „ჰე ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონადვანები,  
ტანი კალმად მაქვს, კალამი - ნაველსა ამონაწები,  
მე გული შენი ქაღალდად გულსავე ჩემსა ვაწები, -  
გულო, შავ-გულო, დაბმულხარ, ნუ აეხსნები, აწ ები!

Wardrop 1263. "O mine own! this letter is the work of my hands; for pen I have my form, a pen steeped in gall; for paper I glue thy heart even to my heart; O heart, black (sad) heart, thou art bound, loose not thyself, now be bound!

Urushadze 1280. "All my being", she wrote, "is here in my letter, beloved.

My pen is steeped in the gall ceaselessly rising within me.  
My paper – my own sad heart, attached to the heart of my lover.  
My heart pressed unto your heart, close as the rosebud's petals.

Vivian. 'My own one, I send you this letter that my own hand has written. Myself am the pen, dipped in gall, and for parchment I bind my heart to yours – may it never be loosed from that bond.

Stevenson. "See, O my beloved, here the work of my hand. My form serves for a pen, a pen steeped in gall: our two hearts, pressed together, are the paper I write on. – O heart, sad, captive heart, lie still where you are bound!

1294. „ჰხედავა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქმნელია?  
რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ზნელია.  
ზრძენნი იცნობენ, სწუნობენ, მით მათგან საწუნელია;  
უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამძე, რა დიდი ძნელია!

Wardrop 1264. "Thou seest, O mine own! of what deeds the world is a doer. However much light shines, for me it is but darkness. The wise know it (the world), therefore they despise it, to them it is contemptible. My life without thee, woe is me! how exceeding hard it is!

Urushadze 1281. "You have beheld, my beloved, destiny's cruel compulsion,  
The sun may shine in the heavens, but darkness envelops my being.  
The wise man is versed in the world, and therefore despises and shuns it.  
The world is a desert without you, I shrink from its hollow allurements.

Vivian. Now see what is the way of this world: for all the light that illuminates it, darkness is mine in equal measure. Do not the Wise, who know the world, disdain it? How hard is life for me without you!

Stevenson. "O my beloved, the workings of this word! No matter what light shines, there is for me only darkness. The world is disdained by the wise, for they know its true nature... Parted from you, how bitter is life to me!

1295. „ჰხედავ, ჩემო, ვით გაგვეყარნა სოფელმან და ჟამმან  
კრულმან!

ვეღარ გნახე საყვარელი მზიარული მზიარულმან,  
ნეტარ, რა ქმნას უშენომან გულმან, შენგან დალახვრულმან!  
გაგიცხადა დამალული გონება მან დაფარულმან.

Wardrop 1265. "Thou seest, mine own! how Fate and cursed time have parted us; no longer do I glad see thee, my glad loved one; what, indeed, can the heart rent by thee do without thee! Secret thought manifests to thee what is hidden.

Urushadze 1282. "You have beheld, my beloved, how time and the world have conspired  
To hold us apart and to leave us deprived of the sight of each other.  
How can my heart go on beating, far from the heart of my loved one?  
How is the veil rent asunder that covered the things that were hidden?"

Vivian. See, my own, how the world and accursed Time have parted us – never again shall I rejoice in the sight of my beloved. What will become of my heart without you? Now my innermost thoughts are revealed to you.

Stevenson. "O my beloved, Fate and evil fortune have severed us; never again shall we have the rapture of looking into each other's eyes. What can avail the heart pierced by longing when you are denied to it? – But that must be made plain which until now has been hidden.

1296. „შენმან მზემან, აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე;  
ჩემი მეთქვა: გარდასრულდა სიცოცხლე და ყოვლი ღონე;  
აწ რა მესმა, შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვჰმონე,  
ჩემი ყველა აქამდისი ჭირი ლხინსა შევაწონე.

Wardrop 1266. "By thy sun (life) until now I thought not thou wert alive; as for me, methought my life and all my resource had passed away. Now when I hear (news of thee), I magnify the Creator and humble myself before God. All mine erstwhile grief I weigh as joy.

Urushadze 1283. "I swear by the sun of your life, till now I thought you had perished.

I thought I had lost you for ever, the light of my soul was extinguished.  
Since I have heard you are living, I magnify God and His goodness,  
And the hours of unrelieved grief are reckoned as hours of rejoicing.

**Vivian.** By your sun, I swear that until now I did not believe that you were living. My own life and all my strength seemed to have passed away. When I heard news of you I glorified the Creator and praised God, and all the sorrow I had known was transformed to joy.

**Stevenson.** I had believed, upon my faith, that you were with dead life, I thought, had gone from me, with nothing remaining. This news has made me praise the Creator, humble myself before the throne of God; the sorrow that was mine is now changed into joy.

1297. „შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად,  
გულისად ერთობ წელულისა და ასრე დადაგულისად!  
მომიგონებდი, გახსოვდი მე შენთვის დაკარგული სად;  
ვზი მზრდელად სიყვარულისა, მის ჩემგან დანერგულისად.

**Wardrop 1267.** “Thy life is sufficient for my heart to hope in, a heart all wounded and so consumed! Think of me, remember me as one lost to thee; I sit nursing the love I planted.

**Urushadze 1284.** “Hope has returned to my bosom, to my heart laid waste by affliction  
Since it received the glad tidings, that you, my beloved, are living.  
Remember me only as one irretrievably lost, but remember  
I shall cherish the blossoms forever watered so long by my weeping.

**Vivian.** To know that you are alive – that is enough to give hope to my wounded heart. Remember me, keep me in your thoughts, as I who am lost to you tend the love implanted in me.

**Stevenson.** to woe it added further woes yet more grievous, for, not content with all the sorrows I was already possessed of, it gave me as a captive into the hands of the Kajes, terrible to meet as foes. – O my beloved, we are the sport of Fate!

1298. „სხვად, ჩემო, ჩემი აზბავი ჩემგან არ მოგეწერების:  
ენა დაშვრების, მოსმენით არვისგან დაიჯერების.  
ფატმან წამგვარა გრძნეულთა, ღმერთი-მცა მას ეტერების!  
ანუ კვლა ქმნა იგი სოფელმან, რაცა მას შეეფერების.

**Wardrop 1268.** “Now, O mine own, my story is not to be written to thee by me; the tongue will tire, none that hear will believe! P’hatman

took me from sorcerers; may God protect her! Now again Fate hath done what befits it.

Urushadze 1285. "My story, beloved, can never be told or be written in letters.

None would believe the recital though the tongue be tired in the telling.

Once I was saved from the Kajis, may God reward my deliverer!  
But the world has spells of its own to ensnare the feet of the heedless.

Vivian. 'I will write no more about myself. The tongue grows weary and the listener too. Phatman - whom God preserve - saved me from one captivity.

Stevenson. "I sit in a castle with walls so high that the clouds shroud the battlements: guards stand at their posts by the passage of entry, and neither by day nor by night does their watch ever cease. Any host that attacks them must meet with destruction; they will bring it to ruin like the flames of devouring fire.

1299. აწ სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა დამისართა,  
არ დასჯერდა ზედი ჩემი მათ პატიჟთა მრავალ-გვართა,  
კვლავა მიმცა შესაპყრობლად ქაჯთა, ძნელად საომართა;  
ზედმან გვიყო ყველაკაი, ჩემო, რაცა დაგვემართა!

Wardrop 1269. "Fate hath now added worse woe to my woe, my ill luck was not appeased by these manifold afflictions; and again it delivered me into the hands of the Kadjis, hard to combat; Fate hath done to us, mine own, all that hath befallen us.

Urushadze 1286. "Fate was not appeased nor content with my many afflictions,

And added more woe to my woes; misfortune followed misfortune.

It delivered me once again into the hands of the Kajis.

And all we have suffered, beloved, is due to the working of fate.

Vivian. Now the world, as is its nature, has piled woe upon woe and my fate, not satisfied with my many afflictions, has made me a prisoner of the Kadjis who are hard to defeat. It is Fate that has brought about all that has befallen us.

**Stevenson.** to woe it added further woes yet more grievous, for, not content with all the sorrows I was already possessed of, it gave me as a captive into the hands of the Kajes, terrible to meet as foes. – O my beloved, we are the sport of Fate!

1300. „ციხეს ვზი ეგზომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან, გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა-დგებიან, დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან, მათთა შემზმელთა დაჰხოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან.

**Wardrop 1270.** “I am sitting in a castle so lofty that eyes can scarce see the ground; the road enters by a passage, over it stand guards; day and night knights miss not their turn as sentries, they will kill those that engage them, like fire will they envelop them.

**Urushadze 1287.** “I sit in a tower so lofty that eyes can scarce see the ground.

The path to its gates is guarded by vigilant sentries, the Kajis.  
Each is a valiant swordsman, pledged to destroy the intruder,  
Watchful by day and by night, lest any should come to my rescue.

**Vivian.** I am kept in a stronghold so high that it towers up almost out of sight. The only entrance to it is by an underground tunnel which is guarded day and night, and any who attack will be slain as swiftly as if they were swallowed up in flames.

**Stevenson.** “I sit in a castle with walls so high that the clouds shroud the battlements: guards stand at their posts by the passage of entry, and neither by day nor by night does their watch ever cease. Any host that attacks them must meet with destruction; they will bring it to ruin like the flames of devouring fire.

1301. „წუთუ ესენი გეგონნენ სხვათა მეზრძოლთა წესითა!  
წუცა მე მომკლავ ჭირითა, ამისგან უარესითა;  
შენ მკვდარსა გნახავ, დავიწვი, ვითა ახელი კვესითა;  
მოგშორდი, დამთმე გულითა, კლდისაგა უმაგრესითა!

**Wardrop 1271.** “Surely thou thinkest not that these are of the same kind as other warriors? Slay me not with woes worse than the present! I shall see thee dead, I shall be burnt up like tinder by steel. (Since) I am sundered from thee, renounce me with a heart harder than rock itself.

Urushadze 1288. "Think not to challenge their anger, they are invincible warriors.

Do not increase my afflictions by falling prey to their lances!  
Since you have lost me, beloved, learn to forget my existence.  
Harden your heart, I beseech you, banish my image for ever.

Vivian. Do not imagine that the Kadjis are fighters like ordinary men – do not, I entreat you, attempt my release or increase my sorrow with grief for your death.

Stevenson. Do you think these are warriors who fight in the common way? – Do not kill me with a grief worse than that I already bear! If I must look down on your corpse I shall be consumed like sparked tinder. I am lost – but must endure, with a spirit stronger than hardest rock.

1302. „შენ, საყვარელო, ნუ სჭმუნავ კმუნვითა ამისთანითა,  
ჩემი სთქვა: სხვათა მიჰხედების იგი ალვისა ტანითა.  
არამ სიცოცხლე უშენოდ! ვარ აქამდისცა ნანითა;  
ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ; ანუ მოვიკლავ დანითა.

Wardrop 1271a. "Beloved, sorrow not with such grief! Tell me, can there be for me another with the form of an aloe-tree! Life without thee is nought for me, henceforth I should be full regret; either I would cast myself down from the rock or slay myself with a knife.

Urushadze 1289."Grieve not so sorely, beloved! O my cypress planted in Eden!

Know, if I thought you were dead I would hurl myself from this tower,  
Or plunge a knife into bosom, my life would be nothing without you,  
Therefore take heed how you venture, shed not your life-blood in vain.

Vivian. Harden your heart to accept that I am beyond your reach and do not grieve, my beloved. None but you shall ever possess me – without you, life holds nothing for me but sorrow. Rather would I hurl myself down from height of this tower, or slay myself with a knife.

Stevenson. "Temper, beloved, the madness of your grief: do you believe that I, the cypress-formed, would yield myself to another? I can have no life without you, can have nothing but sorrow: I would throw myself down on to the rocks below rather, or make an end with a knife.

1303. „შენმან მზემან, უშენოსა ვერვის მიჰხვდეს მთვარე შენი,  
შენმან მზემან, ვერვის მიჰხვდეს, მო-ცა-ვიდენ სამნი მზენი  
აქათ თავსა გარდავიქევე, ახლოს მახლვან დიდნი კლდენი,  
სული ჩემი შეივედრე, ზეცით მომხვდენ ნუთუ ფრთენი.

Wardrop 1272. “By thy sun (life)! thy moon will fall to the lot of none  
save thee! By thy sun! to none shall she fall though triple suns shone  
forth! Here would I dash myself down; the great rocks are very nigh to  
me. To thee would I commit my soul; perchance wings would be given  
to me by Heaven.

Urushadze 1290. “Believe me, my sun, your moon will give herself to  
none other!

Not though a threefold sun should offer himself as a bridegroom!  
Rather than yield myself up I would cast myself from this casement,  
Trusting for wings from on high to carry me upwards to heaven.

Vivian. By your sun, I swear I will belong to none but you, even though  
three suns should appear before me! I would cast myself down from  
these great rocks and entrust my soul to you – may Heaven give me  
wings.

Stevenson. No man, I swear it, shall ever be possessed of your moon-fair  
one – no, not through he were three times as fair as the orb of day! I  
would leap forth from here, to fall on the great crags... Pray that  
heaven might grant then the gift of wings to my soul!

1304. „ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა  
შრომასა,  
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰერთა თანა ბრომასა;  
მომცნეს ფრთენი და ავფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა,  
დღისით და ღამით ვჰხედვიდე მზისა ელვათა კრომასა.

Wardrop 1273. “Entreat God for me; it may be He will deliver me from  
the travail of the world and from union with fire, water, earth and air.  
Let Him give me wings and I shall fly up, I shall attain my desire – day  
and night I shall gaze on the sun's rays flashing in splendour.

Urushadze 1291. “Pray that the Lord will deliver my soul from the  
world and its sorrows,  
My body from union with earth, fire, air and water.

Let Him bestow on me wings, that I may attain my desire,  
Gaze in eternal delight on the rays of the sun in its splendour.

**Vivian.** 'Pray to God for me, that He deliver me from the travail of this world, from the bonds of fire and water, earth and air. May I have wings to fly into the heavens where I shall attain my desire, day and night to behold the radiance of the sun's majesty.

**Stevenson.** "Pray to God, that he may deliver me from this world and its travail, release me from the bondage of water, earth, fire and air. May he give me wings to fly up to attain my desire; to gaze, day and night, on the sun's flashing splendor.

1305. „მზე უშენოდ ვერ იქნებოდა, რათგან შენ ხარ მისი წილი,  
განაღამდა მას ეახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი!  
მუნა განახო, მადვე გასახო, გამინათლო გული ჩრდილი,  
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილი-მცა მქონდა ტკბილი!

**Wardrop 1274.** "The sun cannot be without thee, for thou art an atom of it; of a surety thou shalt adhere to it as its zodiac (Leo), and not as one rejected. There shall I see thee; I shall liken thee to it, thou shalt enlighten my darkened heart. If my life was bitter, let my death be sweet!

**Urushadze 1292.** "Without you the sun has no lustre, for you are bound up in its radiance,

Your place is within its orbit, and not as an alien body.

There I will seek till I find you, and bask in the rays of your presence.

My life has been all tribulation; may not my death be the sweeter?

**Vivian.** How can the sun exist without you, who are a particle of its substance? Surely its satellite will not be repulsed: in the realm of the sun I shall behold you, who will flood the darkness of my heart with light. Then, however bitter life has been to me, death will be a sweet.

**Stevenson.** Without you the orb cannot shine – you furnish too much of its radiance; and you will attend upon it in all glory and honor. I shall see you, and you will dispel then the darkness about my heart: my life was bitter, but death will be sweet.

1306. „მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რათგან სულსა,  
მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა;  
მომეგონოს მოშორება, მემატეზის წყლული წყლულსა;  
ნუცამტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, ჩემსა სიყვარულსა!

Wardrop 1275. "Death is no longer grievous to me, since it is to thee I  
commit my soul; but I have laid thy love in my heart, and there it rests.  
When I think of parting from thee, for me wound is added to wound.  
Weep not and mourn not for me, O mine own, for love of me!

Urushadze 1293. "Death holds no terrors to frighten me since to you I  
yield up my spirit.

Your love in my bosom is hidden, and there will it repose for ever.  
Only to think of our parting is a fresh wound added to old wounds.  
But I would not have you lament me, or suffer because you have loved  
me.

Vivian. 'Now since I have given my spirit into your keeping, death has  
no terrors for me. I keep my love for you in my heart and it rests there.  
The thought of parting from you adds to my pain. Do not grieve for me,  
my own.

Stevenson. "Death cannot grieve me now; I have sent you my soul; I  
have laid your love within my heart, and there does it lie at rest.  
Wound is added to wound when I think how distance divides us; but do  
not weep, do not mourn, my beloved, for your lost one.

1307. „წადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,  
მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელ-აუპყრობელსა,  
გულსა აღბინე ჩემისა მოშორებზისა მთმობელსა,  
მომიგონებდი მტირალსა, შენთვის ცრემლ-შეუშრობელსა!

Wardrop 1276. "Go, betake thyself to India, be of some help to my  
father, who is straitened by foes, helpless on all sides; comfort the heart  
of him who suffers separation from me. Think of me weeping for thy  
sake with undrying tears.

Urushadze 1294. "Go to the land of the Indies; be a son to my father.

He is alone and defenseless, his enemies press him sorely.

He is parted from me, his daughter – share his woes and console him!

Think of me ever weeping, for the sake of the love that I bear you.

**Vivian.** But go your way to India and bring aid to my father. He is beset by hostile forces, with none to support him. He has suffered greatly at loosing me: go to him and give him comfort. Remember me, who weep for you quenchless tears.

**Stevenson.** – Set out, ride to India and bring aid to my father; he is beset by his enemies and has no one to help him. Comfort his heart for what he has lost in me... Think of me, and of the tears that flow for your sake without ceasing.

1308. „რაცა ვიჩივლუ ზედისა ჩემისა, კმა საჩივარად;  
ცან, სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად;  
შენთვის მოგვედები, გავხდები ყორანთა დასახივარად,  
ვირე ცოცხალ ვარ, გეყოფი სატირლად და სატკივარად.

**Wardrop 1277.** “Whatever complaint I have made against my Fate is sufficient complaint. Know this, that true justice goeth from heart to heart; for thy sake will I die, I shall become the prey of ravens! But as long as I live I shall weep and suffer enough for thee, too.

**Urushadze 1295.** “Whatever complaint I have made against fate is sufficient complaint.

True and righteous justice goes from heart to heart.


I will become the prey of ravens, I will die for your sake!

But as long as I live I shall weep and suffer enough for us both.

**Vivian.** Enough of protesting against Fate. By the path of true uprightness, heart can meet with heart. For your sake I will die and become food for ravens; for as long as I am living I can cause you nothing but sorrow.

**Stevenson.** “A just cause must make its way from heart to heart; I have railed against Fate enough. For your sake I will die, the ravens’ calls will sound over me... While I live you can know only sorrow and suffering.

1309. „ჰა, ინიშნე ნიშანი შენეულისა რიდისა!  
გარდნიკვეთია ალამი, ჩემო, ერთისა კიდისა,  
ესედა დაგრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა.  
რისხვით მოზრუნდა ზორბალი ჩვენ ზედა ცისა შეიდისა”.



**Wardrop 1278.** "Lo, mark the token from the veil that was thine; from one end I have cut off a strip, O mine own; this (the veil) is all that is left to me in place of that great hope; in wrath the wheel of the seven heavens has turned upon us".

**Urushadze 1296.** "Receive with this letter a token – a strip from the veil that you sent me.

The fragile tissue is all that is left of the hopes we once cherished;

Let it be a reminder that we were not ever apart.

The wheel of the seven heavens has turned upon us in wrath".

**Vivian.** I send you as a token this piece of the veil that you gave me: let it remain a symbol of that great hope of ours. The wheel of the seven heavens has turned in wrath against us.'

**Stevenson.** "Here as a token, beloved, is a piece cut from an end of the veil that you gave me: this is all that is left of the great hope that was once ours: the seven wheeling heavens have turned their anger upon us."

1310. ესე წიგნი, საყვარელსა მისსა თანა მინაწერი,  
რა დაწერა, გარდაკვეთა მათ რიდეთა ერთი წვერი.  
თავ-მოხდილსა დაუმვენდა სისხო, სიგრძე, თმათა ფერი,  
ალვისაგან სული მოქრის, ყორნის ფრთათა მონაბერი.

**Wardrop 1279.** When she had finished this letter written to her beloved, she cut off a fringe from those veils; bareheaded, the thick, long locks of her hair became her well, the scent blows from the aloe, breathing through the raven's wings.

**Urushadze 1297.** When she had finished her letter, Nestan cut the fringe

From an end of her lover's mantle, and placed it between the pages.

Now, with her head uncovered, her beauty shone the brighter,

And the scented breeze from the cypress blew through her raven tresses.

**Vivian.** Nestan uncovered her head to cut a piece from the border of her veil, revealing the richness of her hair that was black as a raven's wing.

**Stevenson.** She cut off a piece from her veil when she had written her lover this letter: fair were the long, thick tresses to see when her head was bared; black as the raven's wing, and fragrant with perfume.

## ხედვა მდინარე აკამპსისის ბიზანტიური ნაპირიდან

ანტონი ბრიერი

*ბირმინგემის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი,  
ბიზანტინოლოგიის მიმართულეობა*

რეზიუმე: ცნობილი ბიზანტინისტი, ბიზანტინოლოგიის ხელშეწყობის ასოციაციის პრეზიდენტის ანტონი ბრიერის წინამდებარე ინგლისური სტატია პირველად გამოქვეყნდა ამსტერდამში 1991 წელს, როგორც შესავალი ქართლის ცხოვრების ერთი ქვეთავის ინგლისური თარგმანისა. ინგლისური თარგმანი XIII საუკუნის უცნობი ქართველი ავტორის ლაშა გიორგის დროინდელი ქრონიკისა შესრულებულია საქართველოს მეგობრის, ვეფხისტყაოსნის ინგლისურად მთარგმნელის, ჩვენი ჟურნალის ერთი უცხოელი ავტორის, აწ განსვენებული ქეთრინ ვივიანის მიერ (*The Georgian Chronicle. The Period of Giorgi Lasha*. Translated by Katharine Vivian. Adolf M. Hakkert Publisher. Amsterdam 1996). ამ წიგნის შესავალში ინგლისელი ბიზანტინისტი, ანტონი ბრიერი, შუასაუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიას მიმოიხილავს უაღრესად ფართო ერუდიციით, პარალელუბით ბველ ბიზანტიელ და ევროპელ ქრონისტებთან, საისტორიო მწერლობის ფარული ნიუანსების სიღრმისეული ანალიზით. სტატიაში ერთდროულად ჩანს დიდი სიმპათია ქართველი მემატიანეებისადმი და კრიტიკული ანალიზი პანეგირიკოს-ქრონისტთა მონათხრობისა. ვფიქრობთ, ამ ნარკვევის გაცნობა საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთათვის სასარგებლოცაა და აუცილებელიც. სტატიის ქართულ თარგმანზე მუშაობდა ჩვენი ჟურნალის თანარედაქტორი არიანე ჭანტურია. აქ წარმოდგენილი ქართული თარგმანი შესრულებულია ლევან გიგინიეიშვილის მიერ. სტატიის სამეცნიერო აპარატი თან ერთვის ინგლისურ დედანს.

საკვანძო სიტყვები: *ქეთრინ ვივიანი, ქართული ისტორიოგრაფია, ბიზანტიური ისტორიოგრაფია.*

ვახტანგ მეექვსე, საქართველოს მეფე, გარდაიცვალა ასტრახანში 1737 წელს. მის ეპიტაფიაში, რომელიც საკუთარ თავს დაუწერა, განვილილ გზას ასე აჯამებს [1]:

„ესე მთა მოვინადირე, ვბოცე ირემნი ძველანი,  
სამართლის წიგნი დავეწერე, მსაჯულს არ უნდა ცილობა,  
ვეფხისტყაოსნის თარგმნობა, სხვა წერილთ არ ვსთქვა ცილობა,  
ჩემთათა მყოფთა ჭაბუკთა უქმნია კარგი ზრდილობა,  
ბოლოდ მიმილო სოფელმან სიმდიდრე, მეფედ შვილობა“.

ვახტანგი გადამეტებულად თავმდაბალი იყო. მის თანამედროვე ევროპელ მეფეებს არანაკლებ ზრდილი და მანერული რაინდები ეყოლებოდათ, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ მაგალითად, ინგლისის მეფე გეორგ მეორეს (George II) ანგლოსაქსური ქრონიკა შეედგინა, ან საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XV-ს გაერედაქტირებინა Froissart, მაგრამ უზომოდ სიმპათიურ და დასევდიანებულ ვახტანგ VI-ს ჩვენ მისი სამეფოს მატთანეს რედაქტირებას (რაზეც ის პრეტენზიას არც კი აცხადებს) უნდა ვუმადლოდეთ. როგორც მეცნიერი მეფე, იგი არის ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე VII პორფიროგენეტის და, კავკასიასთან უფრო დაახლოებული მაგალითისთვის, მისივე წინაპარი დავით IV-ის ტრადიციის გამგრძელებელი. იმ დავითისა, რომელიც წიგნის კითხვას ნადირობისა და საბრძოლო კამპანიებში ამხედრებულებს ვერ ელეოდა და ერთ წელიწადში *სამოციქულოს* ოცდაოთხჯერ წაკითხვა მოასწრო.

საქართველოს გულთან მიახლოებაში ქეთრინ ვივიანი თავის წინამორბედ მარჯორი უორდროპის ტრადიციას აგრძელებს. ამისათვის, ისევე როგორც ვახტანგ VI-მ, ორივე ინგლისელი ქალი, ბუნებრივია, შეეჭიდა რუსთველის ეპიკურ პოემას - *ვეფხისტყაოსანს* [2]. ქეთრინ ვივიანი ვახტანგს უფრო შორსაც გაჰყვა და ინგლისურად გადმოიღო საქართველოს სამეფო *ანალების* შესანიშნავი აღწერა. ინგლისელ მკითხველებში ეს ტექსტები მძაფრ ინტერესს გამოიწვევს: ხან უხელოვნო, ხანაც მაღალხელოვნური გადმოცემები შუასაუკუნეების საზოგადოებისა, რომელიც თავისი რაინდებით და ზედმეტად ძალმოსილი თავადებით, ეპისკოპოს-კანცლერებითა და წარმატებებს გამოდევნებული

მეფეებით ასე ძალზე ნაცნობი უნდა იყოს მათთვის. მაგრამ გვიან ანგლოსაქსურ ქრონიკებში ან თავად ფრუასარში (Froissart) აღწერილი საზოგადოებები სრულიად დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ. ასე რომ, რამე რეალური კავშირების ძიება იგივე იქნება, რაც დასავლეთის რომანული არქიტექტურის გავლენის აღმოჩენა სომხურ ანისში (Armenian Ani). თუმცა, ამ ორივე მდებლობას ჰქონდა ადგილი. დროებითი კოლონიალური გადანერგვა ფეოდალიზმის დასავლური ფორმებისა ლევანტის (Levant) ჯვაროსნულ სახელმწიფოებშიც ასევე უნდა უგულებელვყოთ, რადგან მათ არ ჰქონიათ რამე გავლენა კავკასიაზე. მართალია, ამან არ უნდა შეუშალოს ხელი დასავლელ მკითხველს, გააკეთოს შედარებები საქართველოს მეფე დავით IV-სა და ნორმანულ ინგლისთან, თუმცა მას უნდა ახსოვდეს, რომ როდესაც ასეთ შედარებებს აკეთებს, მოუწევს შეისწავლოს ბიზანტიური იმპერიის ისტორიის საფუძვლები, რომელიც მუდმივად ერეოდა კავკასიის ქვეყნების საქმეებში, და რომელსაც როგორც სომეხი, ისე ქართველი მემკვიდრეები უხალისოდ აღიარებდნენ მისაბამ მაგალითად. ოღონდაც, ბიზანტიის იმპერია მაინც სულ სხვა პრინციპებზე იყო აგებული და, მეტი თავსატეხი რომ გაგვიჩინოს, თვითონაც თავისი უნიკალური ტიპის ფეოდალიზმს ავითარებდა.

როგორც ბიზანტიელების და ბიზანტინისტების უმეტესობა, მე არ შევეუდგები მტკიცებას, რომ გარკვეული ვარ იმაში, თუ რა ხდებოდა მოთქრიალე აკამპსისის (ჰოროხი) შორეული ნაპირის მიღმა. ეს მდინარე, რომელიც მოედინება ანატოლიიდან შავ ზღვაში, წარმოადგენს ისტორიულ გამყოფს და მას შემდეგ რაც მრავალი იმპერიის მომსწრე გახდა თავის ორივე ნაპირზე, დღესდღეისობით თავისი ბოლო მონაკვეთით წარმოადგენს საზღვარს თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. ზოგადად, საზღვრები წყნარი ადგილებია. ჩანგრეული ხიდი არაქსზე (Aras-Arpa Chay) ანისთან, რომელიც ასევე დებს იგივე საზღვარს თურქეთსა და სსრკ-ს შორის, უფრო მკაფიოა ვიდრე აკამპსისის შესართავი ზღვასთან. აქ, და აუცილებლად სხვადასხვა ვითარებაში, კაცმა ან დასავლეთისკენ უნდა გაიხედოს ქართული ბათუმიდან წვიმის მძიმე ფარდების

მიღმა, ან აღმოსავლეთისკენ სარფის თურქული ჩაიხანიდან, საიდანაც ბევრს ვერაფერს დაინახავ; თუმცა კი ამბობენ, რომ შესართავის სიახლოვეს, სადაც აკამპსისი რეალურად კვეთს საზღვარს, საპირისპირო მხარეს დარჩენილი სოფლები დამდამობით ერთმანეთს გადასძახიან და უმღერიან მდინარის გაღმა-გამოდმიდან [3]. ეს სოფლები VI საუკუნიდან არიან გაყოფილები, რადგან პონტოს სანაპიროს ქართველი ლაზები აკამპსისის დასავლეთით ხან რომის, ხან ბიზანტიის და ხანაც ოსმალეთის იმპერიის ქვეშ იყვნენ; ამ იმპერიებში ცხოვრებას ისინი საკმაოდ კარგად მოერგნენ, ისე რომ არც იდენტობა დაუკარგავთ, და ამიტომაც წინამდებარე *ანალებში* ისინი თითქმის არ ჩანან. სათავიდან აკამპსისი სამხრეთისკენ და დასავლეთისკენ მიიკლაკნება უსწორმასწორო ხეობების გავლით იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ახლა თურქეთი ჰქვია, გადალახავს ისპირს, რათა მიუახლოვდეს ბაიბურთს, საიდანაც წარმოდგებოდნენ და სადაც ჰქონდათ ციხესიმაგრე სომეხ ბაგრატიდებს, რომლებიც ქართველებთან იყოფდნენ მეფეებს; ეს ციხესიმაგრე საბოლოოდ რუსებმა დაანგრიეს 1828 წ., ეს არის ტაო და კლარჯეთი, სადაც ქართველებს და სომეხებს ერთად ცხოვრება უწყევდათ, რაც არქიტექტურულად დადასტურებულია იმხანში, და სადაც შვემეთის ტყეები და ზაფხულის სამოვრები მათ საზიარო ეკონომიკურ სივრცეს შეადგენდა. დადებითი და იმედისმომცემი ფაქტია, რომ ახალგაზრდა თურქი მეცნიერები იწყებენ ინტერესის გამოჩენას ქართული ძეგლების მიმართ, თუნდაც მხოლოდ მათ მიმართ, რომლებსაც ეს *ანალები* ასახელებენ და რომ სოფლის თავებს გათვითცნობიერებული აქვთ მათი ტურისტული პოტენციალი ამ დღესდღეისობით წყნარ და კვლავინდებურად მშვენიერ ალპურ მიწაზე [4]. მაგრამ აკამპსისი კვლავ ძველებურად მატყუარა მდინარეა და ძნელია ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელად ფონის ნახვა. ქართველების მხრიდან ამის გაბედული და შთამბეჭდავი მცდელობა ეკუთვნის ელგუჯა ხინთიბიძეს, რომელიც არკვევს საქართველოსა და ბიზანტიას შორის რეალურ სამეცნიერო კავშირებს, ზოგს მყარს და საფუძვლიანს [5], ზოგსაც მოულოდნელსა და ექსტრავაგანტულს და მარიამ

ლორთქიფანიძეს, რომელმაც მაღალოსტატურად გამოიძია ამ ანალების ხასიათი და მათი ავტორობის საკითხი შესავალ წერილში, რომელიც მოყვება ამ წიგნის წინასიტყვაობას. მათგან განსხვავებით, მე ცალთვალა ბიზანტიანისტი ვარ, რადგან ქართულს არ ვფლობ. აქამდე მიწევდა თვალების მოჭუტვით წაკითხვა ამ ანალების ბროსესეული ვერსიისა [6], ქეთრინ ვივიანის თარგმანმა კი მათზე ახალი და უფრო ხალასი ხედვა მოგვცა. ასე რომ, ბოდიშს ვიხდი ქართველი კოლეგების წინაშე ჩემი მრუდე ხედვისთვის და თავის მართლებად ისლა მაქვს, რომ მე აკამპსისის გადაცურვა მიწევს ყოველთვის, როდესაც ამ მძლავრ ნაკადს ვხედავ. მაგრამ მე მხოლოდ მისი ბიზანტიური ნაპირიდან ვწერ.

მაინც რა მოგვცა ქეთრინ ვივიანის თარგმანმა? ანალები არასწორი სიტყვაა. ეს არ არის ურთიერთმონაცვლე ისტორიული გმირებისა და მოვლენების მწყობრი რიგი (რაც ნამდვილ ანალებს ახასიათებს). ჩვენი ქართველები კალენდარული სიზუსტეებით არ არიან დაინტერესებულნი. ტიპურია, რომ იმ დროს, როცა წერენ დედოფალი თამარის გარდაცვალების დღეს, არც კი ახსენებენ წელიწადს. ზუსტი რიცხვები მნიშვნელოვანი იყო შუა საუკუნეების მონასტრებისა და სამეფო კარის კანცელარიებისთვის. მაგალითისთვის, ქართული ტექსტების ავტორების უახლოესი ბერძნული ეკვივალენტი არის მიქაელ პანარეტოსი, კარის მემატთანე მეზობელ ტრაზონში, რომელიც ათარილებს 132 მოვლენას, ჩვეულებრივ, სამყაროს შექმნიდან წლით, ინდიქციით, თვით, კვირის დღით და ხშირად საათითაც კი [7]. ამას ქართულ ისტორიულ ნაწერებთან პარალელი არ აქვს. ასეთი პარალელისთვის არ გამოგვადგება არც ვესევი კესარიელის ჩარჩო, რომელიც გაითვალისწინებდა უნივერსალურ ქრისტიანულ განგებას საქართველოს მოვლენებში, თუმცა ამ ტექსტებსაც აქვს სომხური მატთანეებისთვის დამახასიათებელი ბიბლიური ხერხემალი, რომელიც ნაკლებად გამოშვერილია მათ თანამედროვე ბიზანტიურ ისტორიებში.

თუ ეს არ არის ანალები, მაშინ რა არის? ალბათ არცთუ სამართლიანად, მე მათ შევადარებდი ორ მათავე

თანამედროვე ბიზანტიელ მწერალს - ანა კომნენეს (რომელმაც ჩამოაყალიბა პრინციპი იმისა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ისტორია და თავადვე თავის ნაშრომში, მადლობა ღმერთს, არ დაიცვა ეს პრინციპი) და ნიკიტა ხონიატს (რომელიც ერთგვარი გულდამჯდარი პესიმისტი იყო და როცა იყენებდა ლიტერატურულ კონვენციებს, მხოლოდ იმისათვის, რომ ნამდვილი მიზნისთვის მიეღწია, ანუ აღეწერა და კომენტარები გაეკეთებინა იმ დროზე, რომელშიც ცხოვრობდა) [8]. ყველაზე ნაღდი პასუხი იქნება, რომ ქართველები თავიანთ თავს იგივე, კატეგორიაში აქცევდნენ: ისინი იყვნენ ისტორიკოსები.

დღესდღეისობით ძნელია, გაიაზრო ის სირთულეები, რომლებიც დაკავშირებული იყო მცდელობასთან, ყოფილიყავი ისტორიკოსი (ყოველთვის არამთავარი, სანახევარშტატო პროფესია მაშინდელი ადამიანებისთვის) XII ან XIII საუკუნეში. თავად ბიზანტიაშიც იყო დაბრკოლებები და ბარიერები დაკავშირებულები იმ აუცილებლობასთან, რომ ლიტერატურული ენა მიესადაგებინათ უძველესი ჟანრისთვის, ოღონდაც უკვე ქრისტიანულ სამოსელში, და მხოლოდ ამის მერე ეფიქრათ, თუ როგორ გაეტარებინათ მეორეხარისხოვანი, ანუ თავად ისტორიკოსისთვის პიროვნულად მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაცია მთელი ამ კლიშეების იქით. ანა კომნენემ და ნიკიტა ხონიატმა გადალახეს და თავისთვის გამოიყენეს ეს ბარიერები. ვისთვისაც არ უნდა ეწერათ მათ, მათი გადმოცემები ღრმად პიროვნულია.

ჩვენი ქართველი ისტორიკოსები კიდევ უფრო დიდი წნეხის ქვეშ მუშაობდნენ, რადგან, როგორც ჩანს, ისინი წერდნენ კარის ისტორიას მეფეების დაკვეთით, ან იმ სამეფო დიდგვაროვნებისთვის, რომლებიც შესაძლოა ქმნიდნენ ისტორიას, მაგრამ არ შეეძლოთ მისი წაკითხვა, ამავე დროს კი სურდათ, რომ მათი საქმეები სამარადისოდ დარჩენილიყო წერის მაგიის საშუალებით. ჩვენი ისტორიკოსების სტილი მკაცრად შეზღუდულია ენობრივად და იმ ალუზიებით, რომლებსაც მიმართავენ. ეს სავსებით გასაგებია იმ ვიწრო სამყაროში ინტელექტუალი ბერებისა და მაღალი სამოხელეო პირებისა, რომლებიც ბიზანტიაში ერთგვარ სნობურად თავმოძვრნე წრეს ქმნიდნენ და ერთმანეთს პედანტურ-

ფორმალური ბერძნულით წერდნენ წერილებს. მათ არც ის თავისუფლება აქვთ, რაც ჰქონდა მოგვიანებით ანონიმ ავტორს „მორეას ქრონიკისა“, დაწერილს ფრანკი სამეფო რაინდებისთვის, რომელთაც სურდათ გაეგოთ თავიანთი მამების საქმეებზე ბერძნულად, ფრანგულად ან კატალანურად: ეს ქრონიკა დაწერილია ძირითადად უშუალო, სალაპარაკო ენით, ყოველგვარი აბდაუბდის გარეშე არისტოტელეს შესახებ. ჩვენს ქართველ ისტორიკოსებს ორი ერთმანეთთან ძნელად შეთავსებადი მოთხოვნა უნდა დაეკმაყოფილებინათ, ამიტომაც გავბედავ და ვიტყვი, რომ მათი აქცენტები ზოგჯერ გაურკვეველია. ისტორია, განმარტებისამებრ, საერო საქმიანობაა, მაგრამ ისინი, ანუ ჩვენი ქართველი ისტორიკოსების პატრონები, გვარიანი სნობები იყვნენ და სურდათ დიდებულებით შეემოსათ ეს ნაწერები გარეგნული კონვენციებითა და ლიტერატურული სტილით, თანაც ისე, რომ ისინი მთლად მიუწვდომელიც არ გაეხადათ. ყველაზე მარტივი დონე არის ოფიციალური ისტორია, რაც უბრალოდ ნიშნავს იკითხო სტრიქონებს შორის, ან ის კითხვა მაინც დასვა - თუ რატომ არ არის სტრიქონები საერთოდ. მაგალითად, რატომ არის დემეტრე I-ის (1125-56 წწ.) ოფიციალურ ბიოგრაფიაში ნაკლები სტრიქონი, ვიდრე იმ მცირე წლების აღწერაში, როდესაც ის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი იყო? იმიტომ ხომ არა, რომ მან ცხოვრება დაასრულა მონასტერში, რათა შეერთებოდა მათ, ვინც წერს და არა ქმნის ისტორიას?

იმისდა მიუხედავად, რომ ანა კომნენე და ნიკიტა ხონიატი სრულყოფილად ფლობდნენ ისტორიულ ნაშრომებში თავიანთი კლასიკური განათლების გამოყენების ხელოვნებას, მათ ნაწერებში იგი მაინც ზოგჯერ ზედმეტი დოზით არის წარმოჩენილი. მაგრამ ქართველი ისტორიკოსების ნაშრომებში, ჩანს იმის გამო, რომ მათ მსგავსი განათლების მიღება გაცილებით ძვირი დაუჯდათ, ის რაღაც უხეიროდ არის გამოშვერილი, როგორც ძვლები ნაშიმშილარი კაცის სხეულიდან. ჩონჩხი არის იუდეურ-ქრისტიანული ისტორიოგრაფიული კონვენცია, ხორცი კი არის კავკასიური. ზოგჯერ ხორცი ვერ უთავსდება ჩონჩხს ისე ბუნებრივად,

როგორც ეს არის ბიზანტიურ ისტორიულ ნაშრომებში. ქეთრინ ვივიანის თარგმანი სწორედ ამ კავკასიური მასალის გამოა ასეთი კარგი საკითხავი. ეკუთვნის თუ არ ეკუთვნის შოთა რუსთველი თამარის ზეობის ეპოქას, ამ ისტორიული ნაშრომების ეთოსი იგივეა, რაც *ვეფხისტყაოსანში*.

მიუხედავად ამისა, ჩვენს მწერლებს დაუჟინიათ, რომ ისინი არიან ძველი ისტორიული ტრადიციის ეპიგონები და ასეც უნდა იყვნენ შეფასებულნი. აი აქ გამოსჭვივის გაუგებრობა: რამდენად იცოდნენ ან ესმოდათ მათ თამაზის, ანუ ისტორიული ნაშრომის წერის, კლასიკური წესები? ანა კომნენე და ნიკიტა ხონიატი ძალიან ფრთხილობდნენ დაეფარათ ის მომენტები, როცა ამ წესების დარღვევა უხდებოდათ. მაგრამ დავით IV-ის ისტორიკოსს სურს, თავი მოაწონოს თავის პატრონებს. ის ძველების მხრებზე დგას. ეს უკანასკნელნი კი არ არიან ჰეროდოტე, თუკიდიდე ან პოლიბიოსი, არამედ იდიოსინკრეტული ტრიო: ჰომეროსი - ტროას ომზე, არისტობულოსი - ალექსანდრეზე და იოსებ ფლაბიოსი - ებრაელების ავბედითობაზე. ანა კომნენე, და მის შემდგომ ყველა, ჰომეროსს იცნობს უფრო პოეტად, ვიდრე ისტორიკოსად. არისტობულოსი, ალექსანდრეს თანმზღები ინჟინერი, ცნობილი იყო სტრაბონისა და არიანისთვის, მაგრამ მისი ნაშრომები დაკარგული იყო და ვერც ანა და ვერც ნიკიტა ვერ დაიჩემებდნენ მათ ცოდნას. აი, აქ ჩნდება კითხვა, ხომ არ აცურებს ჩვენი ქართველი ისტორიკოსი მკითხველ აუდიტორიას, რომელსაც მისი ერუდიციით სათანადო აღტაცების გამოწვევის გარდა სხვა არა შეუძლია რა. თუმცა, ალექსანდრეს მომდევნო ხსენებისას, ქართველი ისტორიკოსი შეიძლება მიანიშნებს არისტობულოსის რაღაც წყაროზე, რომელიც ჩვენ აღარ ვიცით, ხოლო იოსებ ფლაბიოსი (ასევე უგულვებელყოფილი ბიზანტიელი თანამედროვეებისაგან) მოიპოვებოდა XI საუკუნის ბიზანტიელი მწიგნობრის [მიქაელ პსელოსის] მოწაფის, [იოანე პეტრიწის] ქართულ თარგმანში [9].

მიუხედავად პლატონური იდეალების თავიანთი გაწეილი ინტერპრეტაციებისა, მსჯელობებისა გრძნობის ხუთ ორგანოზე და სამყაროს შეიღვენად დაყოფაზე, ეს

ქართველები გაცილებით მეტ კლასიკურ მასალას ფლობენ, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. აშკარაა, რომ ჩონჩხი მათი ისტორიოგრაფიული ალუზიებისა არ წარმოადგენს მარტოდენ უხეიროდ შერჩეულ ტოპოსებს. ის, რომ ეს შესამჩნევ გავლენას არ ახდენს მათი თხრობის ან შეხედულების არტიკულირებაზე, შვებისმომგვრელია. მე განგებ მზრუნველი ინტონაციით ვწერ აკამპსისის ჩემი, ბიზანტიური ნაპირიდან, სადაც XII საუკუნის ბიზანტიელები, როგორებიც არიან ანა და ნიკიტა, მეტ-ნაკლებად კომფორტულად გრძნობდნენ თავს თავიანთ სამწერლო კონვენციებში. მათი პანორამული, მაგრამ მრუდე ხედვიდან კავკასია მოჩანს როგორც ბაბილონის გოდოლი მათთვის მისაღები ქალკედონური ორთოდოქსული სამყაროს მიჯნაზე. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ანა კომნენე საქართველოს და მის მოსახლე იბერიელებს თითქმის ისევე იშვიათად ახსენებს, როგორც მარსელ პრუსტი ახალ ზელანდიას [10]. მაგრამ იგივე პანორამულ-მრუდე ხედვით რომ გადმოვიხედოთ ბიზანტიაზე იმდროინდელი კავკასიიდან, მაგალითად, გელათის სამეფო მონასტერიდან, ან ჭყონდიდის კანცელარიიდან, მივიღებთ საკმაოდ განსხვავებულ სურათს, რომელშიც კონსტანტინეპოლს შეედლო ღამის სიბნელეში სინათლის შუქი შეეტანა, მაგრამ რეალურად წარმოადგენს მხოლოდ შუქურის კიაფს ჰორიზონტის ქვევდან. კონსტანტინეპოლის დაცემა მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ 1204 წელს (თუმცა ამ თარიღს ვერ ნახავთ ქართულ ანალებში) ნახსენებია უცნაურად, ჭორის და მითქმა-მოთქმის დონეზე, მაგრამ, ალბათ, ესეც ამ მოვლენის მნიშვნელობაზე მეტყველებს. კონსტანტინეპოლის დაცემის ხსენება ისეთივე უცნაურია, როგორც შეხედულება, რომელიც ცირკულირებდა თურქეთის საქართველოში 1960-იან წლებში იმის შესახებ, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს სამი საბრძოლო მეგობარი, ათათურქი, ჩერჩილი და ჰიტლერი ერთად შეებრძოლნენ და ბოლომდე გაანადგურეს (მიუხედავად მისი ქართველობისა) სტალინი. ამგვარი, რეალური ისტორიისგან გადახვეული ხედვები თავისთავად საინტერესოა და ბევრს გვეუბნება მათზე, ვინც მათ ატარებს. მაგრამ რაღაა ისტორია?

ქეთრინ ვივიანმა აარჩია XII საუკუნის სამეფო ისტორიკოსების ჯგუფი. მათ ემატებიან სხვებიც, რომლებიც საუბრობენ მანამდელ და მერმინდელ მოვლენებზეც ისე, რომ მთელი ისტორია მოიცავს 1089-დან 1222 წლამდე პერიოდს. ანატოლიურ ტერმინებში, ეს მოვლენები იწელება მანციკერტის (მალაგერტის) ბრძოლიდან 1071 წ. (რომლის შემდეგაც წარმოიშვა თურქ-სელჯუკების რუმის სახელმწიფო, რომელმაც ბიზანტიური ანატოლიის დიდი ნაწილი ჩაანაცვლა) ყოზე დაღის (Kose Dagh) ბრძოლამდე 1243 წ. (როდესაც სელჯუკები დამარცხდნენ მონღოლებთან). ქართულ ისტორიებში არც ერთი ეს ნიშანსვეტური მოვლენა არ არის პირდაპირ მოხსენებული. კონსტანტინეპოლში უსაფრთხოდ მყოფი მიქაელ პსელოსიც დიდ ყურადღებას არ უთმობს მანციკერტს, არც მიქაელ პანარეტოსი, ტრაპიზონის სამეფო კარის მემუარების წერისას, ახსენებს სადმე ყოზე დაღს, რომელიც მისგან 125 კილომეტრზე ნაკლები მანძილით იყო დაცილებული. ისინი მართლები არიან, და ისიც მართალია, რომ ზოგჯერ ჩასაფრებული ქართველების საკმაოდ მცირემასშტაბიანი შეტაკებები თურქმენულ ქარავენებთან მთავარ ადგილზე არის გამოყვანილი ამ ქართულ ისტორიებში.

უფრო ფართო ხედი კი აჩვენებს, რომ 1089 და 1222 წლებს შორის, და მიუხედავად თურქებისა და თურქმენებისა, კავკასიის სამხრეთ მდებარე მიწები გაცილებით უფრო დიდი კონფლიქტების მხოლოდ განაპირა მიჯნას წარმოადგენდნენ. ეს მათ აძლევდა ამოსუნთქვის საშუალებას, ხოლო ქართველი მეფეებისთვის მათი ზეობის ყველაზე წარმატებულ პერიოდს განაპირობებდა. სომხებს მსგავსი ამოსუნთქვის საშუალება ჰქონდათ (მეტ-ნაკლები სიზუსტით) 885-დან 1018 წლამდე, როდესაც იმპერია და ხალიფატი მანამდე ებრძოდნენ ერთმანეთს, სანამ ეს ბრძოლები, როგორც იტყვიან, ჩიხში არ შევიდა (ან, უფრო სწორედ, ორთავე იმპერიის წარმომადგენლები მივიდნენ გარკვეულ შეთანხმებამდე), მაგრამ სანამ ისინი მიმდინარეობდნენ, იმპერიებს შორის მოქცეული ხალხი წნეხისგან შედარებით თავისუფალი იყო. როგორ გამოიყენეს სომხებმა თავისი ეს სიტუაცია?

რობაქიძის პრომეთესათვის დამახასიათებელი ამბივალენტურობა – თავისუფლებისათვის მეზრძოლი და მკრეხელი – შეიძლება ამავდროულად ემიგრანტი მწერლის

მდგომარეობასაც მივუსადაგოთ ორ ფრონტს შორის. ისიც პრომეთეს იმ ნაშერთ განკუთვნიება, რომელთათვის შველა არსაიდან ჩანს. სწორედ ამ ამბივალენტურობის გამო მკვიდრდება რობაქიძის შემოქმედების სხვადასხვაგვარი შეფასება ქართულ და გერმანულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში. ყოველი აღმოჩენა კი შესაძლებლობას იძლევა ახალი დასკვნების გასაკეთებლად.

**საკვანძო სიტყვები:** კავკასია, გრიგოლ რობაქიძე, პრომეთე, თავისუფლება.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც გრიგოლ რობაქიძის ხელახალი აღმოჩენა მოხდა, მეცნიერ-მკვლევრები და ლიტერატურის კრიტიკოსები ბევრს კამათობენ მისი შემოქმედების შესახებ. საყურადღებოა ემიგრაციის პერიოდში გერმანიასა და შვეიცარიაში დაწერილი ნაწარმოებები, რომელთა ნაწილი მხოლოდ ახლახანს, მწერლის გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ, იხილა მკითხველმა. რობაქიძის შემოქმედებით დაინტერესებული საზოგადოება კვლავ ახალი აღმოჩენების მოლოდინშია. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტული ნაწარმოებების მოძიება ახალ პერსპექტივებს სთავაზობს მეცნიერებს მისი შემოქმედების კვლევის საქმეში.

ანტიკური თემები, მოტივები და მხატვრული სახეები დიდ როლს თამაშობს გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში. უფრო მეტიც, იგი თავად გრძნობდა თავს ანტიკური ცივილიზაციის მემკვიდრედ. მის ნაშრომებში კარგადაა შერწყმული ერთმანეთთან უძველესი მითები, ქართული ლიტერატურული ტრადიცია და მწერლის თანადროული ლიტერატურულ-ესთეტიკური და ფილოსოფიური მიმდინარეობანი, რაც მწერლის მხატვრულ-პოეტურ სამყაროს განსაკუთრებულ ხიბლს სძენს. საყოველთაოდ ცნობილია გრიგოლ რობაქიძის ესეები და წერილები *ფრიდრიხ ნიცშეს* გამო, *დიონისოს კულტი* და *საქართველო, ერის სული და შემოქმედება*, *მზის ბანა ქართველთა*. მისი საგაზეთო პუბლიკაცია *პრომეთეს ნაშერთი* კი ქართველი მკითხველისათვის უცნობია. ეს ესე მხოლოდ ერთხელ

გამოქვეყნდა 1942 წლის 26 აგვისტოს *ბრიუსელის გაზეთში* (N 236). ამ წერილის შესახებ რობაქიძე აღნიშნავს *გულნადებში*, რომელიც მან 1947 წელს მისწერა ქართველ მწერლებს. ამავე პერიოდში, 1947 წლის შემოდგომაზე, მან გერმანულ მწერლებსაც მიმართა მსგავსი წერილით – *ჩემი ახსნა-განმარტება* („Meine Erklärung“<sup>1</sup>). მასში რობაქიძე ცდილობს ახსნას, თუ რატომ დაწერა წიგნები ჰიტლერსა და მუსოლინიზე, და, ასევე, ცდილობს თავიდან აიცილოს ბრალდება იმის შესახებ, რომ იგი ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგიას ემსახურებოდა და რომ ნაცისტთა დაკვეთებს ასრულებდა. უფრო კონკრეტულად ამასთან დაკავშირებით *გულნადებშია* ნათქვამი: ომის ხანა. 1. მთხოვდნენ რადიოთი მელაპარაკნა. ავიცილე – სხვადასხვა მოსაზრებით; გერმანიის ლაშქარი მიადგა კავკასიონს. ბრიუსელის ერთმა გაზეთმა – გერმანულ ენაზე გამოდიოდა – მომმართა: წერილები მიმეწოდებინა კავკასიაზე. მივაწოდე – სილუეტი: „საქართველო და ჯვაროსნები“, „ივანე ორბელიანი“, „პრომეთეს ნაშიერნი“, „წმინდა მთები“, „იმამ შამილ“ (უკანასკნელი შემდეგ არაბულად გამოვიდა ერთ ჟურნალში). ხედავთ, პოლიტიკური „აქცენტი“, რომელსაც ალბათ ელოდნენ, ავიციდინე [8];

ცხადია, გერმანიიდან შვეიცარიაში ემიგრირებულ ქართველ მწერალს ზუსტად არ ახსოვდა გაზეთების ნომრები, რომლებშიც ეს სტატიები გამოქვეყნდა. მაგრამ ცნობილია, რომ გერმანიის ლაშქარი 1942 წლის აგვისტოში მოადგა კავკასიონს. მარგრეტ შუხარდის დახმარებით შესაძლებელი გახდა ჰაიდელბერგის ბიბლიოთეკაში *ბრიუსელის გაზეთის* პოვნა, რომლის სხვადასხვა ნომერში რობაქიძის ესეები შემდეგი თანმიმდევრობით დაიბეჭდა: *საქართველო და ჯვაროსნები* (Kaukasus-Silhouetten: I. „Georgien und die Kreuzzüge“, *Brüsseler*

<sup>1</sup> *ჩემი ახსნა-განმარტება* პირველად გამოქვეყნდა მარგრეტ შუხარდისა და ჩემს ერთობლივ ნაშრომში *Grigol Robakidse (1880-1962). Ein georgischer Dichter zwischen zwei Sprachen und Kulturen*. Shaker Verlag, Aachen 2011, S.247-276 [3]. ამ ნაშრომის ქართული თარგმანი ეკუთვნის მანანა კვატაიას და იგი დაიბეჭდა 2012 წელს წიგნში *Pro domo sua*, გვ. 3-52.

*Zeitung*, Nr. 215, 5. August 1942) ივანე ორბელიანი („Iwane, der georgische Hagen“: Silhouetten des Kaukasus (II), *Brüsseler Zeitung*, Nr. 221, 11. August 1942), პრომეთეს ნაშიერნი („Das Geschlecht des Prometheus“: Kaukasus Silhouetten (III), *Brüsseler Zeitung*, Nr. 236, 26. August 1942) იმამ შამილ („Freiheitskämpfer Imam Schamil“: Kaukasus Silhouetten (IV), Nr. 259, 18. September 1942), წმინდა მთები („Berge sind die Heime der Götter“: Kaukasus Silhouetten (V), *Brüsseler Zeitung*, Nr. 274, 3. Oktober 1942). ორი მათგანი - ივანე, ქართველი ჰაგენი („Iwane, der georgische Hagen“: Silhouetten des Kaukasus (II) და თავისუფლებისათვის მებრძოლი იმამ შამილი („Freiheitskämpfer Imam Schamil“: *Kaukasus Silhouetten* (IV) მეორედ გამოქვეყნდა წიგნში გრიგოლ რობაქიძე (1880-1962). ქართველი მწერალი ორ ენასა და კულტურას შორის [3, გვ. 241-249].

რობაქიძე მართებულად მიუთითებს გულნადებში იმის შესახებ, რომ ზემოთ დასახელებული ნაშრომები პოლიტიკური სტატიები არაა. მათში არც ომის პროპაგანდა ჩანს და არც ნაციონალ-სოციალიზმის იმპულსები იგრძნობა. ავტორი ირჩევს ისტორიულ და მითოლოგიურ თემებს და ცდილობს მკითხველს მისი სამშობლო, საქართველო გააცნოს. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ესეები არ დაიბეჭდებოდა, ისინი ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგიის შესაბამისი რომ არ ყოფილიყო.

რობაქიძის მესამე კავკასიური სილუეტი პრომეთეს ნაშიერნი („Das Geschlecht von Prometheus“) დაიბეჭდა ბრიუსელის გაზეთში 1942 წლის 26 აგვისტოს. მისი მთავარი თემაა თავისუფალი ადამიანი და მისი საქმიანობა. პრომეთე ერთ-ერთი საყვარელი მხატვრული სახეა ქართველებისათვის და არც რობაქიძეა გამონაკლისი, როცა მას მიმართავს. მის ქართველ პროტოტიპს ამირანს არა ერთი ქართველი ავტორის შემოქმედებაში ვხვდებით ანტიკურობიდან დღემდე. განსაკუთრებით საყურადღებოა შოთა რუსთაველის *ვეფხისტყაოსანი*, რომელშიც ამირანის მოტივი განსაკუთრებულ ჟღერადობას იძენს. იგი კიდევ უფრო პოპულარული გახდა მე-19-20 საუკუნეებში. ამირანი, თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი, გვხვდება

ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, გალაკტიონისა და შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებაში. გრიგოლ რობაქიძე პრომეთეს თემას ახლებურ ინტერპრეტაციას უკეთებს და ცდილობს ახსნას, თუ ვინ არიან პრომეთეს ნაშიერნი. ქართველი მწერალი არ ღალატობს ეროვნულ ტრადიციას – პრომეთეს (ან ამირანს) წარმოგვიდგენს გმირად, რომელიც ერთ დღეს თავს გაითავისუფლებს და სამშობლოსა და ხალხს მშვიდობასა და ბედნიერებას მოუტანს.

პრომეთეს სახეს რობაქიძის შემოქმედებაში პირველად არ ვხვდებით სტატიაში *პრომეთეს ნაშიერნი*. ჯერ კიდევ 1937 წელს გამოქვეყნებული რომანის *მცველნი გრაალისა* პირველ თავს *პრომეთეული თავდავიწყება* („Prometheischer Rausch“) ჰქვია. ამ სათაურით ქართველი ავტორი აღვიძებს ევროპული მკითხველის ინტერესს, რომლისთვისაც პრომეთე კარგადაა ცნობილი როგორც ბერძნული მითოლოგიიდან, ასევე მისი მრავალგვარი ლიტერატურული ინტერპრეტაციებიდან. პრომეთესა და ქართულ მითოლოგიურ სახეს ამირანს ბევრი საერთო აქვთ. წერილობითი ტექსტები ამირანის შესახებ მხოლოდ მე-18 საუკუნიდან ჩნდება [1]. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რობაქიძეც მეტწილად პრომეთეზე ლაპარაკობს და არა ამირანზე და როცა მას მოიხსენიებს, ყველა შემთხვევაში, არსებითია ის, რომ პრომეთეც და ამირანიც კავკასიონზეა მიჯაჭვული იმის გამო, რომ ადამიანებს დედამიწაზე აკრძალული ცეცხლი ჩამოუტანეს. თუ ზევსის მიერ დასჯილმა პრომეთემ ყოველღიურად უნდა აიტანოს ის, რომ არწივი ღვიძლს უძიძგნის მანამ, ვიდრე ჰერაკლე გაათავისუფლებს, ამირანს გამუდმებით ყვავები აწამებენ. ერთ მშვენიერ დღეს კი იგი თავს გაითავისუფლებს და დადგება ოქროს ხანა ქართველთა.

რომანის *გრაალის მცველნი* პირველივე თავში მთავარი მოქმედი პირი ლევან ორბელიანი წარმოდგენილია როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი. მასში მკითხველი ამოიცნობს პრომეთესეულ ხასიათს. პრომეთე, ქართველი ერის სიმბოლური მხატვრული სახეა. რობაქიძის აზრით,

„ტყუილად როდი მიაჯაჭვეს პრომეთე კავკასიონის ქედზე; დღესაც უკორტნის ღვიძლს არწივი“ [10, გვ. 6]

რომანში გრაალის მცველნი ნაჩვენებია საქართველოს ოქროს ხანაც და საბჭოთა სინამდვილეც. მაგალითებს ქართველი ხალხი შორეულ წარსულში ეძებს და იმედოვნებს, რომ ერთ მშვენიერ დღეს სოციალისტური დიქტატურისაგან თავს გაითავისუფლებს. რობაქიძის აზრით, ახალი გრაალი საქართველოში წმინდა წინოს სასწაულითაა ნაჩვენები, ხოლო გრაალის მცველნი უვლიან და ინახავენ საქართველოს გულს. სწორედ ეს რაინდნი არიან პრომეთეს ნაშეირნი. მათ ნაწარმოებში ფიქტიური სახელები აქვთ. თუმცა თითოეულ მათგანს რეალური პროტოტიპები ჰყავთ. ესენი არიან მწერლები, ხელოვანნი, თეატრსა და კინოში მოღვაწე ადამიანები. მთავარი მოქმედი პირის სახეში ადვილად შეიძლება თავად გრიგოლ რობაქიძის ამოცნობა, ხოლო მრგვალი მაგიდის რაინდნი პაოლო იაშვილი, ტიცვიან ტაბიძე, კოტე მარჯანიშვილი, უშანგი ჩხეიძე და სხვა იმ დროისათვის ძალზედ ცნობილი პიროვნებანი არიან, რომლებიც საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული რეჟიმისადმი წინააღმდეგობრივად არიან განწყობილნი და „პრომეთეული თავდავიწყებით“ ებრძვიან სოციალისტურ სინამდვილეს.<sup>1</sup>

ამ თემას ცოტა სხვაგვარად ამუშავებს რობაქიძე ესეში *პრომეთეს ნაშეირნი*. მისთვის ჩვეული პათეტიკური წერის მანერითა და სიტუაციების ასახვის პოეტური მეთოდით ვრცლად გვიყვება იგი ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებების შესახებ, ვიდრე უშუალოდ პრომეთეს შეეხება. კრიტიკულად განწყობილი მკითხველი კი მოუთმენლად ელოდება, როდის დაიწყებს რობაქიძე მთავარ თემაზე მსჯელობას. იზადება კითხვაც, რისთვის ესაჭიროება მას ან ხანგრძლივი ისტორიების მოყოლა. ამ ვრცელი მსჯელობების დადებითი მხარე ისაა, რომ ავტორი ევროპულ მკითხველს ქართველებსა და კავკასიაში მცხოვრებ სხვა ერებს აცნობს.

---

<sup>1</sup> ზოგიერთ მათგანს ვხვდებით რობაქიძის წერილში „გულნადები“, რომლითაც მან 1947 წელს ქართველ მწერლებს მიმართა.

რობაქიძე ესეს იწყებს იმით, რომ სანსკრიტში სიტყვა *სეებხჰაზარი* („*Swechchhari*“) დამოუკიდებელ, ავტონომიურ ადამიანს ნიშნავს. ეს ის ადამიანია, „რომელიც საკუთარი ნებით მოქმედებს“. ეზოთერიზმის მაკმადიანი მიმდევარნი მიიჩნევენ, რომ თითოეული ადამიანი საკუთარი კანონით მოქმედებს. ხოლო ქართველი დამოუკიდებელი, თავისუფალი ადამიანის დასახსათებლად იგი იყენებს სიტყვას *თავისთავადი* [5]<sup>1</sup>. რობაქიძე ცდილობს იმ სიტყვების ეტიმოლოგიის ახსნას, რომლებიც ზოგადად თავისუფალი ადამიანის მდგომარეობის გამოხატვას ცდილობს. სამაგალითოდ მოჰყავს მას სიტყვა *თავისთავადი*. ასეთია, მისი აზრით, კავკასიელი, რადგან მას „თავისი შინაგანი სუვერენიტეტი არაჩვეულებრივად გაცნობიერებული აქვს“ (*BZ* 26.8.1942).

გრიგოლ რობაქიძე გერმანულენოვან მკითხველს უხსნის სიტყვა *თავისთავადის* მნიშვნელობას, რისთვისაც იხსენებს ბავშვობას საქართველოში და ერთ თავადს, რომელმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მისი სამოსი და მანერები ცხადყოფდნენ მფლობელის ძლიერ და თავდაჯერებულ ხასიათს. არაჩვეულებრივად კარგად ჩაცმული თავადის ჩოხა ცოტა გაცვეთილიც კი იყო, მაგრამ მისი მეტად დახვეწილი ქცევისა და მანერების ფონზე ეს ნაკლებ როლს თამაშობდა. აქვე რობაქიძე მიუთითებს, რომ მსგავსი ტანსაცმელი აქვთ კავკასიის სხვა ერებსაც, რომლებიც იმიტომ არიან ღარიბულად ჩაცმულნი, რომ მათ მთავარ პრიორიტეტს ქვეყნისა და ერის მსახურება წარმოადგენს. ისინი გასცემენ ყველაფერს რაც აბადიათ, მხოლოდ ცხენი და იარაღია ის უმთავრესი განძი, რისი გასხვისებაც მათ არ შეუძლიათ. თითოეულ მათგანს სამი განუყრელი თანმხლები პირი ჰყავს, რომლებიც მათი ერთგულნი არიან სიკვდილამდე. რობაქიძის აზრით, თავადთა არაჩვეულებრივ თავდაჯერებას მათი დიდსულოვნება, საზომეარის გაცემის სიყვარული და ხალხის მსახურება განაპირობებს (*BZ* 26.8.1942). ასეთი ღრმად

<sup>1</sup> ყველა შემდგომი ციტატა ამ ესეიდან ტექსტში წამოდგენილია შემოკლებული ფორმით: *BZ* 26.8.1942.

სუბიექტური მსჯელობების დროს მწერალი გადაჭარბებით აფასებს მოვლენებსა და ისტორიულ ფაქტებს. კავკასიელ თავადთა და დიდგვარიანთა სიღარიბე გასულ საუკუნეებში მარტო მათი დიდსულოვნებითა და საზოგადოების გულუხვად გაცემით როდი იყო განპირობებული. პატარა კავკასიურ ქვეყნებში მრავალი პრობლემა არსებობდა – გამოწვეული ომებით მტერთა წინააღმდეგ და ადგილობრივ ფეოდალთა შორის. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის უსასრულო ბრძოლებში ნადგურდებოდა ქვეყნები, აქედან გამომდინარე მოსახლეობის სოციალური და დემოგრაფიული მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო. ძალაუფლების ნება ხშირად ანადგურებდა ჰუმანურ იდეებს, და ცხადია, კავკასიელ თავადებსაც მხოლოდ საკუთარი ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა როდი ადარდებდათ.

თავადის იდეალური სახე და ქართული ნადიმი განუყოფელია. ამის შესახებ ხშირად წერს რობაქიძე თავის ნაწარმოებებში. *პრომეთეს ნაშიერშიც* იხსენებს იგი დღესასწაულებს გურიის მთავრების გურიელების სასახლეში. განსაკუთრებით საინტერესოა ახალი წლის მეორე დღე: „ამ დღეს ისინი თავად იყვნენ ყმები და ყმები იყვნენ თავადები“ (BZ26.8.1942).

ამ დროს ძალიან კარგად ჩანდა გურიის მთავართა დამოკიდებულება ხალხისადმი და პირიქით, ხალხის პატივისცემა მათდამი. რობაქიძე უფრო შორს მიდის და ამბობს, რომ თუ კარგად დავუკვირდებით ჩერქეზი მთავრების ცხოვრების წესს, გავიგებთ კავკასიელთა „რასობრივ ფსიქიკას“ („Rassenpsyche“). ეს სიტყვა – „Rassenpsyche“ – გერმანელ მკითხველში შიშსა და ცუდ ასოციაციებს იწვევს. ის მას თავისი მძიმე ისტორიული წარსულისაკენ ახედებს და კვლავ ნაციონალ-სოციალიზმის ტკივილს განაცდევინებს. თუმცა რობაქიძე მას სხვა დატვირთვით იყენებს და „რასობრივი ფსიქიკის“ უმთავრეს მახასიათებლად მიიჩნევს კავკასიელთა სიყვარულსა და მისწრაფებას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მათ ტოლერანტობასა და ჰუმანიზმს. მაგრამ, ჩემი აზრით, ომის მძვინვარე წლებში, მაინც ფრთხილად უნდა ყოფილიყო ქართველი მწერალი

ნაციონალ-სოციალიზმისათვის ყველაზე მისაღები და პოპულარული სიტყვებისა და ცნებების გამოყენებისას, რასაც იგი ნაკლებად ითვალისწინებდა.

ქართველი თავადები, მწერლის აზრით, უაღრესად კარგად უვლიან სტუმართმამობისა და მეგობრობის უძველეს ტრადიციებს. კავკასიელისათვის სტუმართმოყვარეობა მეგობრობაზე უფრო აღმატებულია, და კიდევ უფრო მეტი, ვიდრე ქალისა და მამაკაცის სიყვარული.

კავკასიელმა არ იცის შიში იმის წინაშე, რაც მას არ მოსწონს, რაც მას „პრომეთესულ სახიფათო ზონაში“ აგდებს. მისი „ინდივიდუალური მე“ მაქსიმალურად იხარჯება მიზნის მისაღწევად. ამ საკითხებზე მსჯელობისას რობაქიძე ნელ-ნელა უახლოვდება პრომეთეს თემას და იმეორებს რომანში *მგველნი გრაალისა*, უკვე თქმულს: „შემთხვევითი როდია, რომ პრომეთე, მითის თანახმად კავკასიის კლდეებზეა მიჯაჭვული“ [7]. რობაქიძის აზრით, იგი მითიურად განასხეულებს კავკასიელთა სულიერ სახეს. იგი არაა ეგოისტი, მას სურს ადამიანებს ცეცხლი მოუტანოს. ამ დროს ის არ ვარდება ღვთაებრივი ჩარჩოდან. მაგრამ, მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი ცეცხლს მოიტაცებს, ხდება თავნება, გმირი, რომელიც უბრალოდ ცეცხლს იტაცებს. იგი აღარაა მსხვერპლი, როგორც ეს „რიგვედას“ „ცეცხლის მბრძანებლებშია“ ნაჩვენები (*BZ* 26.8.1942).

პრომეთეს მხატვრულ სახეში რობაქიძე განასხეულებს კავკასიელის ზოგად სახეს, რომელშიც ღვთაებრივი და ადამიანური ჰარმონიულადაა შერწყმული. მის ნებას წინ ვერაფერი აღუდგება. პრომეთეს მსგავსი კავკასიელის ამბივალენტური სახე, ერთი მხრივ, უკომპრომისო მებრძოლია თავისუფლებისათვის, მეორე მხრივ კი, მკრებელია.

მითის თანახმად ზევსის არწივი პრომეთეს ღვიძლს უძიძგნის. ამასთან დაკავშირებით რობაქიძე რომანში *მგველნი გრაალისა* მიუთითებს, რომ ღვიძლი ქართულ ენაში სიფხიზლეს უკავშირდება, ისევე როგორც ნაღველი – სევდასა და სასოწარკვეთილებას. სიფხიზლე და სასოწარკვეთილება ერთმანეთთან კავშირშია, სევდის ადგილიც სადღაც მათ შორისაა, კერძოდ კი ნაღვლის გვერდით.

ქართულში ღვიძლსა და ღვიძილს ერთი ფუძე აქვს, ასევე ნაღველი ორგანიზმის სუბსტანციასაც ნიშნავს და სულიერ მდგომარეობასაც. სამყაროს შესახებ წინარე ცოდნის თანახმად, ეს ორი წყვილი ერთმანეთს უკავშირდება: ღვიძილი – სიფხიზლე – ნაღველზე მიგვითითებს, ნაღველი კი – ფხიზლად ყოფნაზე. მონატრების განცდა სადღაც მათ შუა იზადება, ეს ღვიძლის არეა [10].

ამ საკითხს რობაქიძე პრომეთეს ნაშიერშიც განაწვრივს. იგი წერს, რომ როგორც კი ღვიძლს საფრთხე დაემუქრება, ფხიზლდება ნახევარღმერთი. ღმერთები ტიტანებს მათი მოჭარბებული ინდივიდუალიზმისათვის სჯიან – ე. ი. სიფხიზლისათვის: ტიტანს აღარ შეუძლია დაიძინოს (*BZ* 26.8.1942). აქვე მწერალი აჰურა მაზდასა და მითრას იმოწმებს. ისინიც მოიხსენიებიან მითოლოგიურ გადმოცემებში ღვათაებებად, რომელთაც ძილი არ იციან, „მათ თავიანთი „მე“ სრულიად დაძლიეს“. პიროვნული თავისუფლება კი უმთავრესია საყოველთაო თავისუფლებისათვის. თავისუფლების სიყვარული კავკასიელისათვის უმნიშვნელოვანესი არის, რადგან კავკასიის პატარა ქვეყნები ანტიკურობიდან დღემდე იბრძვიან დამპყრობელთა წინააღმდეგ და გამუდმებით თავიანთი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ცდილობენ. სამწუხაროდ, ეს საკითხი დღესაც აქტუალურია.

ნაშრომში პრომეთეს ნაშიერში რობაქიძე კავკასიელის საფრთხეზე წერს. როგორც ჩანს, იგი ფიქრობს საფრთხის შესახებ, რომელიც „პრომეთესეული თვითნებობისაგან“ მომდინარეობს. კავკასიის ხალხებში, რობაქიძის აზრით, ცოცხლობს პრომეთესეული თავენებობიდან გამომდინარე საფრთხე, რამაც დიდად განსაზღვრა საქართველოს ისტორიული განვითარების გზა. აქვე ისიც მინდა, აღვნიშნო, რომ რობაქიძის მსჯელობა „პრომეთესეული საფრთხის“ შესახებ ცოტა გაურკვეველია. იგი შეიძლება დავუკავშიროთ ნიცმეს მოსაზრებას არაჩვეულებრივი ადამიანებიდან გამომდინარე საფრთხის შესახებ, რომლებიც იძულებით ცხოვრობენ ჩვეულებრივ საზოგადოებაში [4, გვ. 352]. ის ადამიანები, რომლებიც თავიანთი არაჩვეულებრივობის გამო გერმანულ

კლიმატსა და გარემოს ვერ ეგუებოდნენ, ნიცშესათვის იყვნენ ჰიოდედრლინი და კლაისტი. მწერალი-ფილოსოფოსი ნაშრომში „შოპენჰაუერი როგორც აღმზრდელი“ მიუთითებს, რომ იქ, სადაც მძლავრი სახლმწიფოები, მთავრობები, რელიგიები არსებობდნენ, და სადაც საჯარო აზრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, მოკლედ, ტირანია იყო, სძულდათ მარტოსული ფილოსოფოსი, რადგან ფილოსოფოსი ადამიანებს იმ თავშესაფარის კარს უღებს, სადაც ტირანია ვერ აღწევს. მათი უკიდევანო ნება თავისუფლებისა, მათსავე არაორდინალური ნიჭიერებითა განპირობებული. მათ შეუძლიათ ფასეულობათა გადაფასება და პრიორიტეტების შეცვლა. ნიცშე ასახელებს ღრმად ფილოსოფიურად მოზროვნე მარტოსულ ნახევარღმერთებს, რომელთაც საზოგადოებაზე ზეგავლენა მოახდინეს. მისი აზრით, საფრთხე მომდინარეობს ასეთი ადამიანებისაგან. და ასეთები იყვნენ შოპენჰაუერი, გოეთე, რუსო, ვაგნერი, კლაისტი, ბეთხოვენი [4, გვ. 353-354].

შემთხვევითი არ უნდა იყოს რობაქიძისა და ნიცშეს შეხედულებათა მსგავსება თავისუფალი ნების კარნახით მოქმედ ნახევრადღმერთთან დაკავშირებით. საყოველთაოდ ცნობილია ქართველი მწერლის განსაკუთრებული პატივისცემა გერმანელი ფილოსოფიურად მოაზროვნე მწერლისადმი. შეიძლება ითქვას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში რობაქიძე ნიცშეს თავისებურ ინტერპრეტირებას ახდენს, მაგრამ მის სახელს ნაშრომში *პრომეთეს ნაშიერნი* არსად ასახელებს.

კავკასიელის „საფრთხისა“ და მისი უსაზღვრო სიმამაცის შესახებ როცა საუბრობს, რობაქიძეს სამაგალითოდ მოჰყავს თავისუფლებისათვის მებრძოლი შამილის ცნობილი ნაიბი ჰაჯი -მურატი, რომელიც შვიდი წელი მართავდა ავარიის სახანოს და თავდადებით იბრძოდა რუსეთის წინააღმდეგ (*BZ* 26.8.1942).

რობაქიძე თავდაპირველად აღწერს ჰაჯი-მურატის ბრძოლას რუსების მხარეს, ხოლო შემდეგ იგი წარმოდგენილია როგორც შამილის თანამებრძოლი, თუმცა იმამ შამილი ბოლომდე არ ენდობოდა მას, რადგან ჰაჯი-მურატს კვლავ

რუსეთისაკენ მიუწევდა გული. საბოლოოდ კი იგი ტრაგიკულად დაიღუპა ამ ორ ფრონტზე ბრძოლაში.

ესეში პრომეთეს ნაშიერნი რობაქიძეს ჰაჯი-მურატი წარმიდგენილი ჰყავს, როგორც პრომეთეული თავნებობის მსხვერპლი. კავკასიელთა მესხიერებაში ჰაჯი-მურატი და იმამ შამილი ცოცხლობენ როგორც გმირები, რადგან კავკასიელისათვის გმირი საკუთარი ნებით მოქმედი ადამიანია, რომლის მიზანს თავისუფლების მოპოვება და სამშობლოსათვის ბრძოლა წარმოადგენს. მწერლის აზრით, ხალხს ესმის მისი გმირების გულისთქმა ისე, რომ მათ თავნებობასა და შეუდარებელ სიმამაცეს სიმღერებში უკვდავყოფს. ქართველთა დახასიათებისას რობაქიძე დავითის მემკვიდრეს სიტყვებს იხსენებს, რომ „მოდგმა ქართველთა თავითგანვე ,ორგულია თვისთა უფალთა მიმართო“. ეს არის არა „თავისებურება“ ქართველთა, არამედ საფრთხე. ზუსტად იმავეს იმეორებს იგი 1952 წელს ჟენევაში დაწერილ ესეში რა უნდა აგონდებოდეს ქართველს:

აქ მარხია „საფრთხე“ ყოველგვარი „თვისებისა“. გენია, მაგალითად ცეცხლია. თუ ცეცხლს მასალა არ მიეც, იგი, არაბთა სიტყვით, თავის თავს შესჭამს: დაიფერფლება. გენია ვითარცა „თვისება“, რასაკვირველია, ფერფლი არაა; ხოლო გაფერფლა მოელის მას როგორც „საფრთხე“, თუ მოვლა მოაკლდა [9, გვ. 42-47].

არა თავისებურებას, არამედ პრომეთეულ საფრთხეს უკავშირებს გროგოლ რობაქიძე საქართველოს ისტორიულ განვითარებას. მისი აზრით, სწორედ ეს არის „შინაგანი მიზეზი“ საქართველოს იმპერიის დაცემისა. იგი არ ასახელებს ეპოქას, როცა ამ ფაქტის შესახებ წერს, მაგრამ, ცხადია, იგი საქართველოს ისტორიის ოქროს ხანაზე ლაპარაკობს. ამაზე მიუთითებს, ასევე, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ციტირებაც. რობაქიძის აზრით, ქართველები „in der verborgenen Schicht des völkischen Seins sich ihrer Gefahr bewußt sind“ (BZ 26.8.1942). „Völkisches Sein“, გმირის მორალი, საგმირო საქმენი და სხვა მრავალი სიტყვა, თუ ტერმინი, რომლებიც ნაციონალ-სოციალიზმის პათეტიკურ ლექსიკას განეკუთვნება, განსაკუთრებით თვალშისაცემია როგორც წერილში

პრომეთეს ნაშიერნი, ასევე, საერთოდ, მის შემოქმედებაში. თუმცა იგი მათ სხვა მიზნით იყენებს – სურს კავკასიელის იდენტობას მრავალგზის გაუსვას ხაზი და უჩვენოს ევროპელ მკითხველს ის ფასეულობები, რომლებითაც კავკასიის მცირე ერები არსებობენ.

პრომეთეს ქართული პროტოტიპის – ამირანის – შესახებ რობაქიძე მხოლოდ სტატიის ბოლოს წერს. იგი მკითხველს ამირანის თქმულებას მოუთხრობს, თუ როგორ ლოკავენ შავი და თეთრი ძალები იმ ჯაჭვს განუწყვეტლივ, რომლითაც ტიტანი კავკასიის კლდეზეა მიჯაჭვული. იმ წამს, როცა იგი ისე თხელდება, რომ ამირანს უკვე მისი გაწყვეტა შეუძლია, ხდება საოცრება, იგი კვლავ მთელდება. იმ დროს, როცა ამირანს უკვე შეუძლია თავი გაითავისუფლოს, მჭედლები ახალ ჯაჭვს ჭედენ. ამდენად, ამირანი კვლავ კლდეზე მიჯაჭვული რჩება. სრულიად საქართველო ამ მოვლენას ვნების კვირის ხუთშაბათს უკავშირებს. თქმულება საკულტო სახეს იღებს, ხოლო მჭედელთა ჩაქუჩების ხმა სიმბოლურ ხასიათს ატარებს (BZ 26.8.1942):

რობაქიძე თავის სტატიას ასრულებს სიტყვებით, რომ თქმულება პრომეთეს შესახებ შეიძლება ერთგვარი გაფრთხილებაც იყოს ქართველებისადმი, რომელთა პრომეთეული თავნებობა უსაზღვროა („Mahnend und zugleich wegweisend leuchtend dieser tiefsinnige Brauch in der prometheischen Gefahrenzone des georgischen Seins“. BZ 26.8.1942).

რობაქიძის სტატიის პრომეთეს ნაშიერნი კითხვისას იბადება შეკითხვა, როგორ გაბედა ავტორმა მეორე მსოფლიო ომის ყველაზე კრიტიკულ პერიოდში გერმანიის მიერ ოკუპირებულ ბელგიაში ისეთი სტატიის დაწერა და გამოქვეყნება, რომელშიც უმთავრესი აქცენტები თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზეა გაკეთებული? როგორც დავინახეთ, მას ნამდვილად არ დაუწერია პოლიტიკური სტატია, რომელიც ნაციონალ-სოციალისტებს შესაძლოა პროპაგანდისათვის გამოსდგომოდათ. ის ირჩევს ცნობილ თემას პრომეთეს შესახებ და ამუშავებს მითოლოგიურ მასალას, რასაც აქვს

თავისი დადებითი მხარეები: პირველ რიგში, იგი კავშირშია საქართველოს ისტორიასთან, და რადგან გერმანულენოვანმა მკითხველმა თითქმის არაფერი იცის ამ ქვეყნის შესახებ, თქმულების რობაქიძისული ინტერპრეტაციის შემდეგ უსათუოდ სიმპათიურად განეწყობა მისადმი. მაგრამ, ყველაზე არსებითია ის, რომ სტრიქონებს შორის ნათლად იკვეთება სურვილი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა, რასაც ყველა დაპყრობილი ქვეყანა საჭიროებდა მეორე მსოფლიო ომის უძიმეს წლებში. მედლის მეორე მხარეს რობაქიძის ერთგვარი სიმპათიაც იკვეთება გერმანული ჯარებისადმი, რომლებიც კავკასიას მიუახლოვდნენ. ეს, თითქოს, ერთგვარი შანსი იყო მისი სამშობლოს სოციალისტური რეჟიმისაგან გათავისუფლებისათვის.

ის ამზივალენტურობა, რაც რობაქიძისეულ პრომეთეს სახეს ახასიათებს – თავისუფლებისათვის მებრძოლი და მკრეხელი ამავდროულად – შეიძლება რობაქიძის მდგომარეობასაც მივუსადაგოთ ორ ფრონტს შორის. მასში ჩანს ემიგრანტი მწერლის ბედი, რომელიც, ასევე, პრომეთეს იმ ნაშიერთ განეკუთვნება, რომელთათვის შეეღა არსაიდან ჩანს. სწორედ ამ ამზივალენტურობის გამო მკვიდრდება რობაქიძის შემოქმედების სხვადასხვაგვარი შეფასება როგორც ქართულ, ასევე გერმანულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში. ყოველი ახალი აღმოჩენა კი შესაძლებლობას იძლევა ახალი, კონკრეტული დასკვნების გასაკეთებლად.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Arlt, Herbert: *Mythologie und Gegenwart - der Kaukasus im Europäischen Bewusstsein* - <http://www.inst.at/berge/kaukasus/arlt.htm>
2. *Das Buch vom Helden Amirani. Ein altgeorgischer Sagenkreis.* Hrsg. Micheil Tschikowani, Gustav Kiepenheuer: Leipzig und Weimar 1978, aus dem Georgischen übersetzt von Heinz Fähnrich.
3. Gagnidse, Nugescha und Schuchard, Margret: *Grigol Robakidse (1880-1962). Ein georgischer Dichter zwischen zwei Sprachen und Kulturen.* Shaker Verlag, Aachen 2011.

4. Nietzsche, Friedrich: „Schopenhauer als Erzieher“. *Sämtliche Werke: Kritische Studienausgabe in 15 Bänden* (KSA), Hg. Giorgio Colli und Mazzino Montinari. Bd. 1. München, 1980.
5. Robakidse, Grigol: „Das Geschlecht des Prometheus: Silhouetten des Kaukasus (III)“, *Brüsseler Zeitung*, Nr. 236, 26.8.1942.
6. Robakidse, Grigol: „Meine Erklärung: An die Schriftstellerverbände Deutschlands, An die deutschen Verleger, An den PEN-Club, An meine Leserkreise“ (Herbst 1947).
7. Robakidse, Grigol: *Die Hüter des Grals*. Eugen Diederichs Verlag, Jena 1937.
8. რობაქიძე, გრიგოლ: „გულნადები“. *ლიტერატურული საქართველო*, # 1 (2780), 4.1.1991, 3-4.
9. რობაქიძე, გრიგოლ: „რა უნდა აგონდებოდეს ქართველს“. *ჩემთვის სიმართლე ყველაფერია*, რედ. რ. ლომინაშვილი, თბილისი 1996, გვ. 42-47.
10. რობაქიძე, გრიგოლ: *მცველნი გრაალისა*, გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ. გამომც. „არტანუჯი“, თბილისი 2012.

## Robakidze's Works written in the German Language (Prometheus' Offspring)

**Nugesha Gagnidze**

*Full Professor at Akaki Tsereteli State University, Kutaisi*

**Abstract:** The society has been interested in Grigol Robakidze's works written in German for a long time. Due to the fact that the writer's new works were tracked down in various countries, new prospects are open for scholars and literary critics for studying his literary heritage.

Robakidze's five articles, under the umbrella title *The Silhouette of the Caucasus* - published in 1942 in different issues of *The Brussels Magazine*, are not known to Georgian readers. The above articles are mentioned by the writer in his letter *My Explanation* addressed to Georgian writers in 1947. As Robakidze notes, he managed to avoid "political emphasis" during the fierce years of World War II.

The main topic in the *Prometheus' Offspring* from *The Silhouette of the Caucasus* (Das Geschlecht von Prometheus, 26.08. 1942) is a free human being and his / her activities. There, Robakidze describes the stories from the history of Georgia, life and customs and rites of the freedom-loving nations living in the Caucasus to the citizens of Belgium, occupied by Germany, and the German-speaking readers. Robakidze deserves credits for re-introducing Prometheus's country to Europe in the 1930-40s through his works.

The ambivalence of Robakidze's Prometheus – fighting for freedom and blasphemer at the same time – can be relevant to the immigrant writer himself, who was between two frontlines. He also belongs to those offsprings of Prometheus whom nobody can help. It's due to this ambivalence that Robakidze's works give rise to different viewpoints both in Georgian and German academic literature. And every finding offers the possibility to make new conclusions.

**Key words:** *Caucasus, Robakidze, Prometheus, freedom.*

Since the 1990s, when Grigol Robakidze was rediscovered, there have been a number of debates on his works among scholars and literary critics. Special attention should be paid to the writings from his emigration period, created in Germany and Switzerland. Part of these works has been made public only recently, long after the writer's death. The avid readers of Robakidze are still expecting new discoveries. New perspectives of research are awaiting the scholars after his new works are found in different parts of the world.

Antique topics, motives and artistic images play a great role in Robakidze's works. Moreover, he regarded himself a descendent of the Antique civilization. His works represent a good combination of ancient myths, Georgian literary tradition and the writer's contemporary literary-aesthetic and philosophical tendencies, which makes the writer's artistic world unique. Robakidze's essays and articles: *On Friedrich Nietzsche, Dionysus' Cult and Georgia, Nation's Spirit and Creativity and Solar Age of Georgians* enjoy wide popularity, but the readers are not well acquainted with his letter *Prometheus' Offspring*, which was published only once on August 26th 1942, in *Brussels Newspaper* (N 236 ). Robakidze mentions this work in his letter to Georgian writers, written in 1947. In the autumn of the same year he addressed German writers with the similar letter *My Explanation (Meine Erklärung)*.

Here Robakidze tries to explain why he wrote books about Hitler and Mussolini and makes an attempt to repudiate the claim that he served the ideology of National-Socialism and fulfilled Nazi orders. In particular, he describes it in his letter to Georgian writers *Heartfelt Thoughts*:

War Period 1. I was asked to make a speech on the radio. I avoided it – due to many reasons: the German army was in the Caucasus. One Brussels newspaper, which was published in the German language, asked me to provide them with letters about the Caucasus. I provided them with the following materials – *Georgia and the Crusaders, Ivane Orbeliani, Prometheus' Offspring, Sacred Mountains, Imam Shamil* (the latter was published in Arabic in one

magazine). So, you see, I managed to avoid the political "accents" they should have expected [8].

Surely, the writer who afterwards emigrated from Germany to Switzerland, could not remember exactly the issues of the newspapers, where these articles were published, but we know that the German army approached the Caucasus in 1942. With Margret Schuchard's help we managed to find in Heidelberg University the *Brussels Newspaper*, where Robakidze's articles were published in the following sequence *Georgia and the Crusaders (Kaukasus-Silhouetten: I. Georgien und die Kreuzzüge, Brüsseler Zeitung, Nr. 215, 5. August 1942)* *Ivane Orbeliani (Iwane, der georgische Hagen: Silhouetten des Kaukasus (II), Brüsseler Zeitung, Nr. 221, 11. August 1942)*, *Prometheus' Offspring (Das Geschlecht des Prometheus: Kaukasus Silhouetten (III), Brüsseler Zeitung, Nr. 236, 26. August 1942)* *Imam Schamil (Freiheitskämpfer Imam Schamil Kaukasus Silhouetten (IV), Nr. 259, 18. September 1942)*, *Sacred Mountains (Berge sind die Heime der Götter Kaukasus Silhouetten (V), Brüsseler Zeitung, Nr. 274, 3. Oktober 1942)*. Two of these articles, *Ivane Orbeliani (Iwane, der georgische Hagen Silhouetten des Kaukasus (II) and Imam Schamil, a Warrior for Freedom (Freiheitskämpfer Imam Schamil: Kaukasus Silhouetten (IV)* were published a second time in a book Grigol Robakidze (1880-1962), *A Georgian Writer between Two Languages and Cultures* [3, pp. 241-249].

Robakidze points out in his *Heartfelt Thoughts* that the above-mentioned works are not political articles, they do not convey war propaganda, or carry the impulses of National-Socialism. The author refers to historical and mythological topics and introduces to the readers his motherland, Georgia. Still, it must be mentioned that the essays would not have been published, if they had not been in accordance with National-Socialist ideology.

The third work of Robakidze *Prometheus' Offspring (Das Geschlecht von Prometheus)* was published in the *Brussels' Magazine* on August 26th 1942. The main idea of the article is a free human being and his actions. Prometheus is one of the most favourite characters for Georgians and Robakidze is not the only

author to refer to this topic. We can trace Prometheus' Georgian prototype Amiran in many Georgian writers' works since the Antique period. Special emphasis should be made to Rustaveli's *Knight in a Panther Skin*, where Amiran's motif sounds rather strong. This figure became even more popular in the 19th-20th centuries. Amiran, a hero, fighting for freedom can be found in the creative writings of Alexandre Chavchavadze, Grigol Orbeliani, Iliia Chavchavadze, Vazha Pshavela, Akaki Tsereteli, Galaktion and Shota Nishnianidze. Grigol Robakidze provides us with a novel interpretation of the topic and tries to explain who the offsprings of Prometheus are. The Georgian writer follows a national tradition of depicting Prometheus (Amiran), as a warrior-hero, who will set himself free one day and bring happiness and peace to his people.

It is not the first time that we can trace Prometheus in Grigol Robakidze's works. Even in his novel *Graal Keepers*, published in 1937, one chapter is named as *Madness of Prometheus (Prometheischer Rausch)*. This title enables the Georgian author to enliven the interest of European readers, who know the character of Prometheus well enough from the Greek mythology and other literary sources and interpretations. Prometheus and his Georgian counterpart Amiran of Georgian mythology have much in common. Written texts about Amiran have been found since the 18th century [1]. It is noteworthy that Robakidze talks mostly about Prometheus, and not Amiran. It is also essential, that both Prometheus and Amiran are tied to the Caucasus Mountain, as they provided mankind with the forbidden gift of fire. Zeus punishes Prometheus by sending an eagle which pecks his liver on daily basis until Hercules sets him free whereas Amiran is tortured by crows. One day Amiran will set himself free and this will mark the beginning of Golden Era for Georgians.

In the very first chapter of the novel *The Grail Keepers*, its protagonist Levan Orbeliani is depicted as a warrior for freedom and the reader can recognize his Promethean features. Prometheus is a symbolic image of the Georgian nation. Robakidze claims that "The eagle pecks Prometheus' liver even nowadays" [10].

The novel *The Grail Keepers* depicts both the Golden era of Georgia and the Soviet reality. Georgian people look for role-models in the ancient past and hope that one day they will be released from Socialist dictatorship. Robakidze regards St. Nino's miracle as a new Grail and, as for the Grail keepers, they defend and cherish the heart of Georgia. These knights are the offsprings of Prometheus. Their names are fictional in the novel, but they all have real prototypes - writers, artists, representatives of theatre and cinema. The protagonist can easily be recognized as Robakidze himself. The Knights of Round Table - Paolo Iashvili, Titsian Tabidze, Kote Marjanishvili, Ushangi Chkheidze and others are the eminent representatives of Georgian culture of that period, who were markedly anti-Soviet in their spirit and tried to fight against the Socialist reality with "Promethean madness."

This topic is covered from a slightly different angle in Robakidze's essay *Prometheus' Offspring*. Using his characteristic pathetic manner of writing and poetic description he tells us in a lengthy mode about historical events and people, before Prometheus appears in the text. A critically-minded reader is kept waiting with impatience for Robakidze to start discussing his main topic. So, what is the necessity of such a lengthy narration? The author makes the European reader acquainted with the Georgians and other Caucasian nations.

At the beginning of his essay Robakidze mentions that in Sanskrit the word *Svekhkhahari* ("*Swechchhachari*") means an independent, autonomous person, a man, who acts according to his "own free will". The followers of the esoteric approach believe that everybody acts according to their own "law". To characterize a free, independent Georgian person, he uses the word *tavistavadi* (man belonging to himself) [5]. Robakidze tries to explain the etymology of the words that try to depict the general state of a free person. The word *tavistavadi* serves as a model for him. He believes that this feature is typical of the Caucasian people, as "they are perfectly aware of their inner autonomous status" (BZ 26.8.1942).

Grigol Robakidze explains the meaning of this word to the German reader and reminiscences of his childhood, spent in

Georgia. He remembers one Georgian nobleman, who impressed him greatly. His attire and manners showed the extreme self-awareness and confidence of the owner. His attire might have been a bit worn out and shabby, but this played a minor role compared to his refined manners and behavior. Hereby Robakidze mentions that other Caucasian nations are characterized with similar attire - their modest clothing points out that these people set their service towards their nation and country as a main priority. They give away all their possessions, apart from their horse and weapons, which they cherish. They usually have three companions, who stay with them until their death. Robakidze sees the chief reason for the noblemen's self-confidence is their generosity, nobility of spirit and the readiness to serve their country (BZ 26.8.1942). Here the author seems to be rather subjective, exaggerating in his evaluation of events and historical data. The destitute state of Caucasian nobility in a previous century was caused not only by their generosity and noble nature, but also by many problems and calamities of small Caucasian countries: wars against enemies and local feudal rulers. The endless fights for independence led to the destruction of some countries and a grave social and demographic state of the population. Humanistic ideas were not usually set as a total priority and naturally, Caucasian noblemen were not a particular exception to this rule, not always thinking about the welfare of their country.

The ideal image of noblemen and the Georgian feast are inseparable. Robakidze frequently mentions this fact in his writings. In Prometheus' Offspring he mentions the celebrations and feasts in the palace of the Gurian noblemen Gurieli. The day after New Year seems particularly interesting. "That day the noblemen served as the serfs and the serfs pretended to be the noblemen" (BZ 26.8.1942).

This period showed well the relationship of Gurian noblemen towards the commoners and vice versa. Moreover, Robakidze mentions that observing the lifestyle of Cherkez noblemen, we will be able to understand the race psychology ("Rassenpsyche") of Caucasian people. The word Rassenpsyche causes unpleasant associations and fear in German readers, reminds them of their uneasy historical past and of National-Socialism, still, Robakidze

uses the words in a different context – for him the term means the key characteristics of Caucasians – their love for freedom and independence, their inborn tolerance and humanism. Still, I think that in the period of war the Georgian writer should have been more cautious to avoid the usage of the words and ideas, so popular among the National-Socialist circles.

Robakidze mentions, that Georgian noblemen cherish their ancient traditions of hospitality and friendship. Caucasians regard hospitality even more sacred than friendship, higher than love between a man and a woman.

Caucasians are not scared of what they dislike, what puts them in a “dangerous Promethean zone”. Their “individual self” creates a maximum to achieve the aim. Discussing these issues, Robakidze gradually approaches the topic of Prometheus and repeats the words in *Grail Keepers*: “It is not an accidental fact, that Prometheus, according to the myth, is chained to the Caucasus” [7]. Robakidze thinks that this hero is a mythical embodiment of the Caucasian spirit. He is not an egotist; he wants to share divine fire with people. In the moment, when he wants to share the fire with people, he does not yet leave the divine frame, but when he steals the fire, he becomes an outcast, an independent-minded hero, a revolutionary who makes his own decision. He is not a victim, like the *Masters of Fire* depicts it in *Rig – Vedas* (BZ 26.8.1942).

Prometheus of Robakidze combines in himself the general features of Caucasians, the divine and the human characteristics merge in this figure, his free will cannot be crushed down. Caucasian, like Prometheus, possesses an ambivalent image – he is an uncompromising fighter on the one hand, and a blasphemous character on the other.

According to the myth, Zeus sends an eagle to peck Prometheus' liver *-gvidzli*. Robakidze points out in his novel *The Grail Keepers* that in the Georgian language the word *gvidzli* is associated with the word *gvidzili*, which means “been awoken”, whereas the word *nagveli*, meaning “bile”, simultaneously denotes sadness and despair. So, these concepts stand side by side. “In Georgian *gvidzili* and *gvidzli* have the same root, at the same time

the word *nagveli* denotes body substance, as well as spiritual state. According to the preliminary knowledge about the world, these two concepts are associated - "being awakened, alert" leads to "sadness" and "sadness" keeps you alert. The feeling of "missing something" is born somewhere between them. This is the area of *gvidzli* (liver) [10].

Robakidze introduces this issue in *Prometheus' Offspring* as well. He writes that as soon as the liver is endangered, a semi-god is awakened. Gods punish Titan because of their overwhelming individuality - for being alert: Titan cannot get back to sleep (BZ 26.8.1942). Here the author brings Ahura-Mazda and Mithras as examples. They are termed as never-sleeping Gods in mythological stories. They completely overcame their "individual me" and the personal freedom is omnipotent for general, overall freedom. Love of freedom is the essential feeling for Caucasians, as the small countries of the region oppose versatile aggressors and fight to maintain their independence since the Antique period and unfortunately, the issue remains acute still.

In his work *Prometheus' Offspring* Robakidze writes about the "danger to a Caucasian" which might originate from the unbound character of Prometheus, his self-will. Among Caucasian people, according to Robakidze, the danger, ascribed to Promethean self-will, is still alive. It was one of the determining factors for the historical development of Georgia. I would like to mention, that Robakidze's ideas about "Promethean danger" are a bit vague. We can associate them with Nietzsche's concept of danger, coming from extraordinary people, who have to live in an ordinary society [4, pp. 352]. Nietzsche names Hölderlin and Kleist as an example of the people, who found it hard to tolerate the German environment and climate. In his work about Schopenhauer the writer points out that the existence of strong governmental, state or religious structures, over importance of public attitudes led to the animosity towards solitary philosophers, as the latter opened the door to the world without tyranny. Their boundless will of freedom is caused by their extraordinary talents. They can overlook and change priorities and systems of values. Nietzsche names such solitary semi-Gods, whose

deep philosophical approaches were able to change society and somehow present a source of danger. These people are Schopenhauer, Goethe, Russo, Wagner, Kleist and Beethoven [4, pp. 353-354].

The fact that Robakidze's ideas resemble those of Nietzsche's in the perspective of a free-willed Semi-God is not a mere coincidence. The respect and high esteem the Georgian writer held towards the German philosopher is well-known. We can argue that Robakidze interprets Nietzsche's ideas here, though he never mentions his name in *Prometheus' Offspring*.

Talking about Caucasian "danger" and their boundless bravery, Robakidze draws Haji-Murat, a famous "naib" of Shamil, who was the leader of the Avar area during 7 years and fought against Russia with all his might (BZ 26.8.1942). Robakidze first describes the way Haji-Murat fought on the Russian side, and then he depicts him as Shamil's comrade-in-arms. Shamil could not trust him completely as Haji-Murat was still tied to Russia though finally the hero ended his life tragically in this uneven fight. In his essay *Prometheus' Offspring* Robakidze represents Haji-Murat as a victim of Promethean self-will. Caucasians remember Haji-Murat and Shamil as heroes, because the Caucasians heroes are the people, who act according to their own free will, aimed at obtaining freedom and fighting for their own motherland. According to the writer, people understand their heroes, appreciate them and immortalize their heroic deeds and free-will in their songs. While characterizing Georgians, Robakidze remembers the words of David the Chronicler, that "Georgians are innately rebellious towards their masters". This is not just the "characteristic feature" of Georgians, but the "danger". He repeats the same in his 1952 essay, written in Geneva *What should Georgians Remember*.

"Here lies the "danger" of all "features". Take fire, for example: if you do not give it some material to devour, it will "feed on itself," as the Arabs say and turn into ashes. Of course, ashes are not a "feature" of fire they are its "danger", the peril that awaits if proper care is not taken." [9, pp. 42-47].

For Robakidze, Georgia's historical development is associated not with its features, but dangers. He thinks that this is the "inner cause" of the fall of Georgian Empire. He does not mention the exact epoch, but naturally, he implies the Golden Era of Georgian history. One more marker - he quotes a historian of David the Builder's period. He thinks that the Georgian "in der verborgenen Schicht des völkischen Seins sich ihrer Gefahr bewußt sind" (BZ26.8.1942). "Völkisches Sein", morale of a hero, his deeds and a number of other words or terms, from the pathetic vocabulary of National-Socialism are really noticeable in *Prometheus' Offspring* and generally, in overall works by Robakidze. Still, he uses this wording for the different purpose - to highlight the identity of Caucasians and introduce the European reader to the values of Caucasian small nations.

Robakidze mentions the Georgian counterpart of Prometheus, Amiran, only at the end of his article. He recites the legend of Amiran and tells the reader about black and white dogs, constantly licking the chain that keeps the hero bound to the mountain. At the very moment, when the chain is thin enough for the hero to break it, by some wonder it regains its thickness. Amiran remains captured; the blacksmiths forge a new chain for him. The Georgians associate this with Maundy Thursday, the legend acquires the features of a cult and the sound of the blacksmiths' hammers turns into a symbol. (BZ 26.8.1942).

Robakidze concludes his essay with the words that the legend of Prometheus can serve as a certain warning for the Georgians, whose Promethean self-will is truly boundless. ("Mahnend und zugleich wegweisend leuchtend dieser tiefsinnige Brauch in der prometheischen Gefahrenzone des georgischen Seins.: BZ 26.8.1942).

While reading Robakidze's *Prometheus' Offspring* a question arises, how dare the author write and publish such article in war-time, occupied Belgium? An article, which deals with the issues of independence and freedom? As we have clearly seen, he did not write a political essay, which would have been suitable for the National-Socialist propaganda. He chose a famous Promethean topic

and worked on mythological materials. This material is closely connected with the history of Georgia, totally unfamiliar to German readers. After reading the essay, the positive awareness takes place. Moreover, the text carries the message of freedom and independence, the spirit, which was of a vital importance for all occupied countries during WW II. There still is the other side of the coin, Robakidze sounds sympathetic towards the German army, which approached the Caucasus. He must have seen it as a chance of releasing his country from the socialist regime.

The ambivalent nature of Robakidze's Prometheus - a fighter for freedom and an iconoclast, can be ascribed to Robakidze himself. We see the fate of a doomed emigrant writer, an offspring of Prometheus. This ambivalent nature leads to the ambiguous evaluation and interpretation of Robakidze's creative works in both Georgian and German literary criticism. And every new discovery provides the chance for new approaches and novel conclusions.

## References

1. Arlt, Herbert: "Mythologie und Gegenwart - der Kaukasus im Europäischen Bewusstsein" <http://www.inst.at/berge/kaukasus/arlt.htm>.
2. *Das Buch vom Helden Amirani. Ein altgeorgischer Sagenkreis.* Hrsg. Micheil Tschikowani, Gustav Kiepenheuer: Leipzig und Weimar 1978, aus dem Georgischen übersetzt von Heinz Fähnrich.
3. Gagnidse, Nugescha und Schuchard, Margret: *Grigol Robakidse (1880-1962). Ein georgischer Dichter zwischen zwei Sprachen und Kulturen.* Shaker Verlag, Aachen 2011.
4. Nietzsche, Friedrich: "Schopenhauer als Erzieher". *Sämtliche Werke: Kritische Studienausgabe in 15 Bänden* (KSA), Hg. Giorgio Colli und Mazzino Montinari. Bd. 1. München, 1980.
5. Robakidse, Grigol: "Das Geschlecht des Prometheus: Silhouetten des Kaukasus (III)", *Brüsseler Zeitung*, Nr. 236, 26.8.1942.
6. Robakidse, Grigol: "Meine Erklärung: An die Schriftstellerverbände Deutschlands, An die deutschen Verleger, An den PEN-Club, An meine Leserkreise" (Herbst 1947). ETH Zürich, Archiv für Zeitgeschichte NL Otto Zaugg, 21 S.

Typoskript .

7. Robakidze, Grigol: Die Hüter des Grals. Eugen Diederichs Verlag, Jena 1937.

8. Robakidze, Grigol: "Heartfelt Thoughts", *Literaturuli Sakartvelo*, Nr. 1 (2780), 4.1.1991, 3-4.

9. Robakidze, Grigol: "What Should Georgians Remember" *Truth means everything for me*, ed. R. Lominashvili, "Jeck -Service" Publishing House, Tbilisi 1996, p.42-47.

10. Grigol Robakidze "Grail Keepers" translated from German by Tamar Kotrikadze, *Artanuji*, Tbilisi, 2012.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეხვედრის მოჯნაზე:  
სიყვარული შოთა რუსთველის ვეფხისტყაოსნსა და  
კრეტიენ დე ტრუას არტურის ციკლის რომანებში

სალი ნიუველი

*დამოუკიდებელი მეცნიერი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა  
მაგისტრი, დიუკის უნივერსიტეტი*

რეზიუმე: კრეტიენ დე ტრუა და შოთა რუსთველი დაახლოებით ერთ პერიოდში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, მათ ნაწარმოებებშიც გარკვეული მსგავსება არსებობს - აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომის მიზანია რუსთველის ვეფხისტყაოსნისა და კრეტიენ დე ტრუას რომანებში ასახული სიყვარულის თემის განხილვა. ზემოაღნიშნული ნაწარმოებების დეტალური შესწავლის შედეგები ამყარებს არსებულ აზრს, რომ ორივე პოეტისათვის სიყვარულის სათანადო გამოვლინება ზუსტად ქორწინება იყო და არა ადიულტერი. თუმცა ტექსტებში აღწერილი სიყვარულის თემის უფრო დეტალური შესწავლის შედეგად გამოჩნდა მათ შორის არსებული განსხვავებებიც. კრეტიენის რომანებში დაქორწინებული წყვილები აძლიერებენ თავიანთ სიყვარულს წონასწორობის დამყარებით საკუთარ პირად სიყვარულსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის, ხოლო ადიულტერი უარყოფით მოვლენადაა მიჩნეული. ავთანდილის სახით რუსთველი აღწერს ისეთ გმირს, რომელიც თავიდანვე რაციონალურად აზროვნებს, მოქმედებს და რომლის სიყვარულიც ეჭვს არ იწვევს. მას შეუძლია ემოციური კონტროლის შენარჩუნება ანუ თინათინთან დაშორებისას წუხილთან და სასოწარკვეთილებასთან საკუთარი ძალებით გამკლავება. პოემაში მისი როლი მხოლოდ ნესტანის პოვნით არ შემოიფარგლება, მისი მიზანია ტარიელის შინაგანი ღირსების აღდგენა. კრეტიენისგან განსხვავებით, რუსთველი თავის პოემაში უფრო მეტად ავითარებს მეგობრობა-სიყვარულის გრძნობას მამრობით გმირებს შორის. ავთანდილსა და ტარიელს შორის არსებული სიყვარულის ანალიზის შედეგად დადგინდა

მისი გარკვეული მსგავსება დიდებულებს შორის არსებულ მეგობრობის ნეოპლატონისეულ კონცეფციასთან, რომელიც შუა საუკუნეების დასავლეთში განვითარდა. ამ ორი პოეტის ხედვებს შორის მკვეთრი მსგავსება არსებობს, მაგრამ არსებული განსხვავებები იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოღვაწეობდნენ.

*საკვანძო სიტყვები: ვეფხისტყაოსანი, რუსთველი, კრეტიენ დე ტრუა, ქორწინება, მეგობრობა, სიყვარული*

შოთა რუსთველის პოემის თითქმის დასაწყისშივე მეფე როსტევეანი, ავთანდილი და მეფის თანშლები პირები ხვდებიან წყლის პირას მჯდარ, მტირალ ტარიელს. ტარიელი არ პასუხობს მეფის შიკრიკს შეკითხვაზე და ხოცავს იმ ხალხს, რომლთაც მისი მეფესთან ძალით მიყვანა სურთ. ეს ეპიზოდი გამოგონებული და ამალელვებელია კრეტიენ დე ტრუას შემოქმედების მცოდნე დასავლელი მკითხველისთვის, რადგანაც იგი ძალიან ჰგავს ერთ ეპიზოდს რომანიდან *პერსევალი* [6, გვ. 432-436]. კრეტიენის რომანის გმირი რაინდი ღრმად ჩაფიქრებული ჭვრეტს თოვლზე სამი სისხლის წვეთს, რომლებიც მას მისი შეყვარებულის ვარდისფერ ლაწვებს აგონებენ და ვერ გაიგონებს არტურის შიკრიკის, საგრემორის, ხმას, რომელსაც მისი მეფე არტურთან მიცილება სურს. უფრო მეტიც, პერსევალი მძიმედ დაჭრის სერ ქვის, რომელიც მეორე ადამიანია, ვინც მასთან გამოგზავნეს. რუსთაველის პოემის შემდგომი თავების გაცნობის შემდეგ მკითხველი აცნობიერებს, რომ მიუხედავად ბევრი მსგავსებისა აღმოსავლურ და დასავლურ რომანებს შორის, რუსთველის მიერ მოთხრობილი ამბავი ძალიან განსხვავებულია. წინამდებარე ნაშრომის მიზანია მათში არსებული საერთო თვალთახედვისა და განსხვავებების ბუნების დადგენა.

მკითხველი ადვილად დაინახავს მსგავსებას რუსთველის პოემასა და კრეტიენის რომანების გმირი-შეყვარებული წყვილების საქციელს შორის. კრეტიენისა და რუსთველის რომანების მიჯნურები სიყვარულის მსგავს ნიშნებს ავლენენ: კაცებიც და ქალებიც ადიდებენ სატრფოების სილამაზეს; დარდობენ, ფითრდებიან და გოდებენ, იგლეჯენ თავზე თმას ან ტანზე ტანისამოსს, იხოკავენ სახეს. აღმოსავლელი და

დასავლელი შეყვარებულები ერთნაირად იტანჯებიან, თავიანთ მონოლოგებში მოსთქვამენ ზედის სისასტიკეზე, როდესაც ექვექვემ აყენებენ ორმხრივ სიყვარულს და მაშინაც, როდესაც შორს არიან შეყვარებულისაგან. ისინი იძირებიან ილუზიებში, გული მისდით და ჭკუიდან გადადიან კიდევაც. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მკითხველს სიყვარულის ეს მახასიათებლები შეიძლება გადაჭარბებულად ეჩვენებოდეს, ისინი რეალურად ასახავენ მათი გრძნობის უზარმაზარ ძალასა და თვით გმირის სიძლიერეს [2, გვ. 223; 4, გვ. 242]. *პერსევალიდან* ზემოთ მოცემული სცენის გარდა, აღნიშვნის ღირსია ლანსელოტის საკუთარი ილუზიებიც. „მახვილის ხიდისკენ“ მიმავალ გზაზე იგი ღრმად ჩაეფლობა ოცნებებში გვინევერაზე, რომელსაც „დაავიწყდა იგი; ლანსელოტი არ იყო დარწმუნებული საკუთარ არსებობაში; მას არც საკუთარი სახელის გახსენება შეეძლო...“ [6, გვ. 216]. როდესაც სხვა რაინდი მას ცხენიდან მდინარეში ჩამოაგდებს, მხოლოდ მაშინ, ცივ წყალში ჩავარდნისას, მოეგება იგი გონს. ტარიელი სამი დღით ჰკარგავს გონებას, როდესაც პირველად დაინახავს ნესტან-დარეჯანს; ხოლო პოემის დასაწყისში, როდესაც მას მკითხველი პირველად ხედავს, იგი სასოწარკვეთილების უკანასკნელ ფაზაშია - მას აღარაფერი ძალუძს, გარდა ნადირივით ხეტიალისა.

თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი მსგავსება ავტორების იმ საერთო წარმოდგენაში მდგომარეობს, რომ სიყვარული სათანადოდ ქორწინებაში აღსრულდება [7, გვ. 6; 11, გვ. 8; 10, გვ. 187]. ამ თვალთახედვის ერთ-ერთი მიმანიშნებელია კრეტიენის მიერ მიჯნურთა პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების აღწერა. ნაწარმოებებში *ერეკი* და *ენიდა* და *ივეირი* ძირითადი აქცენტი კეთდება ისეთი დაქორწინებული წყვილების შესახებ, რომლებთანაც, ქორწინების შემდეგ, დაირღვა წონასწორობა პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის. *ერეკი* და *ენიდა* ისე იყვნენ შეპყრობილნი საკუთარი სიყვარულით, რომ საერთოდ დაავიწყდათ სამეფო კარი: „*ერეკი* ისე იყო შეყვარებული, რომ აღარ ახსოვდა რაინდის მოვალეობები, არც შეჯიბრებებში მონაწილეობდა... მას მხოლოდ მისი შეყვარებულის კოცნა და ხვევნა აინტერესებდა; სხვა სიამოვნებას იგი არ ეძებდა“ [6, გვ. 67]. მიუხედავად იმისა, რომ *ენიდას* *ერეკის* გაბრაზების ეშინოდა, მაინც უთხრა, რომ მთელი სამეფო კარი მათ კარჩაკეტილობაზე საუბრობდა: „ადრე ყველა იმას ამბობდა, რომ მთელს მსოფლიოში

თქვენზე მამაცი რაინდი არ მოიძებნება. ახლა კი ყველა ლაჩარს გიწოდებთ... ამის მიზეზად კი იმას ასახელებენ, რომ მე მყავხართ დაპყრობილი და ამიტომ თქვენ ყველაფრისადმი ინტერესს კარგავთ“ [6, გვ. 68]. ერეკის რამდენიმე რისკიანმა წამოწყებამ ენიდას მისდამი ნდობაც განაახლა და ენიდას სიყვარულშიც ხელახლა დაარწმუნა; რომანის ბოლო ეპიზოდში - ლზინი სამეფო კარზე - კრეტიენ დე ტრუა გვიჩვენებს, რომ დაქორწინებული წყვილის სიყვარული პირადულიც არის და იმავდროულად საზოგადოებასაც ეკუთვნის [6, გვ. 107-15]. ეს ეპიზოდი შედარებულია ერეკისა და ენიდას ქორწინების საწყის პერიოდს, როდესაც ისინი მხოლოდ ერთმანეთით იყვნენ დაინტერესებულნი. ერთ ქალბატონს, რომლის სახელიც არ არის მითითებული, თავისი შეყვარებული მამოაგრენი მუდმივად ბაღში ჰყავს გამოკეტილი, მას იგი მხოლოდ თავისთვის ემეტება. მამოაგრენის დამარცხების შემდეგ, წყდება ამ ქალბატონის - მისდა სამწუხაროდ - კონტროლიც მასზე. ეს წყვილიც მიიღებს იგივე გაკვეთილს, რასაც ერეკი და ენიდა: საზოგადოებისგან განდგომა მავნებელია [11, გვ. 27].

საპირისპირო ხდება რომანში *ივეინი*; იგი იმდენად ერთგულია სარაინდო საქმიანობისა, რომ სრულიად უგულვებელყოფს ლაუდინს. გავაინი არწმუნებს ივეინს, მიატოვოს ცოლი, ლაუდინი, და წაჰყვეს მეფე არტურის რაინდებს შეჯიბრებებზე, რათა საკუთარი სახელი შეინარჩუნოს. ლაუდინი თანხმდება, ოღონდ იმ პირობით, რომ ივეინს იგი ემახსოვრება და ერთ წელიწადში დაუბრუნდება. ივეინი ვერ შეასრულებს ამ პირობას; მაშინ ლაუდინის მოახლე ქალი ლუნეტი სამეფო კარზე საჯაროდ დაჰგმობს მას. მთხრობელი გვიყვება: „მან თქვა, რომ მისმა ქალბატონმა მოკითხვა დააბარა მეფესთან, მის უდიდებულესობა გავაინთან, ყველასთან, მაგრამ არა ივეინთან - იმ მატყუარასთან, იმ ცრუპენტელასთან, იმ მოლაღატესთან“ [6, გვ. 329]. შეშლილობის პერიოდის შემდეგ ივეინი ცდილობს თავისი საქციელის გამოსყიდვას საგმირო საქმიანობით, რაც უფრო ღირებულია, ვიდრე შეჯიბრებებში მონაწილეობა. მხოლოდ ბოლო მომენტში ლუნეტის გადარჩენამ ალაღვინა ლაუდინის კეთილგანწყობა ივეინის მიმართ. ასე რომ, ორივე ნაწარმოები - *ერეკი* და *ენიდა* და *რაინდი ლომით: ივეინი* - მიგვითითებს, რომ ქორწინებაში დაცული უნდა იყოს წონასწორობა პირად

სიყვარულსა და სასახლის კარის წინაშე არსებულ მოვალეობებს შორის.

იგივე დაპირისპირებაა ნაჩვენები რომანში *კლოჯე* კრეტიენ დე ტრუა მოგვითხრობს ალექსანდრესა და სორედამორზე, რომელთაც არ შეუძლიათ ერთმანეთს გაუმხილონ საკუთარი გრძნობების შესახებ მანამ, სანამ არტურის დედოფალი (რომლის სახელიც არ არის ნახსენები) არ ითამაშებს შუამავლის როლს და არ ურჩევს დაქორწინებას: „თქვენ ორივე ძალზე სულელურად იქცევით, როდესაც თქვენს აზრებს არ ამჟღავნებთ, რადგანაც მათი დამალვით თქვენ ერთმანეთის სიკვდილს გამოიწვევთ და იქნებით სიყვარულის მკვლელები. ახლა გთხოვთ, ერთმანეთის ბატონობისკენ და საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებისაკენ კი ნუ ისწრაფვით, არამედ ღირსეულად შეუერთდით ერთმანეთს - დაქორწინდით, ვფიქრობ, ასეთ შემთხვევაში თქვენი სიყვარული დიდ დროს გაუძლებს“ [6, გვ. 150].

თუმცა, მათი ვაჟიშვილის კლიჟესა და მისი სატრფოს ფენისის სიყვარულის ისტორია ტრისტანის სიტუაციას დაემსგავსა. აშკარაა, რომ შეყვარებულებს არ შეუძლიათ ამ სიყვარულის საჯაროდ გამოხატვა, რადგანაც ფენისი იმპერატორ ალისის მეუღლეა. ამიტომ, ისინი ფენისის გეგმას ახორციელებენ: მოახდენენ სიკვდილის იმიტაციას და ფარულად ცხოვრობენ ერთად. მათი საიდუმლო სახლი ეზოიანი კოშკია, მიწისქვეშა სამალავი ოთახით [6, გვ. 191]. მეტაფორულად ისინი სამარეში არიან. კოშკის ეზოსა და ოთახის იზოლირებულობა მკითხველს ახსენებს ერეკისა და ენიდას ეპიზოდს - ლხინი სამეფო კარზე - სადაც კედლებს შიგნით მოქცეული ბალი იგივე სამარის ხატს ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ რომანის დასასრული ლხინით მთავრდება, კერძოდ კი, კლიჟესა და ცოცხალი ფენისის ქორწილით, ავტორის ბოლო სიტყვები გმობს მათ საქციელს: „ამის (ფენისის საქციელის) შემდეგ ყველა იმპერატორს ეშინოდა ცოლის ღალატის, როდესაც იხსენებდნენ როგორ უღალატა ფენისმა ალისს... მას იგი ჩაკეტილი ჰყავს ყოველ დღე ოთახში... არცერთ მამაკაცს არა აქვს მასთან შესვლის უფლება გარდა იმ მამაკაცებისა, რომლებიც ბავშვობიდან ცვედანები არიან...“ [6, გვ. 205].

ლანსელოტის ისტორიაც ღალატის დაგმობის თემას აძლიერებს, თუკი ამ ამბის ბოლო ეპიზოდს გაავანალიზებთ. გმირი აქაც კოშკშია ჩაკეტილი: „კედლის ასაშენებლად ქვის მასალა საზღვაო გზით გადმოიტანეს და კოშკის აშენებას ორ

თვეზე ნაკლები დრო დასჭირდა. კოშკს ჰქონდა სქელი, მყარი კედლები, ის განიერი და მაღალი იყო. როდესაც მისი მშენებლობა დამთავრდა, მილეგანტმა მიაყვანინა იქ ლანსელოტი და ჩაკეტა კოშკში“ [6, გვ. 282]. განმარტოებული ზაღებისა და კოშკების მნიშვნელობას თუ გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ლანსელოტის დატყვევებასაც იგივე ინტერპრეტაცია მივცეთ: მიუღებელია ქორწინება, რომელიც არღვევს ზალანსს საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებას შორის და იზოლირება, რომელსაც ადიულტერი გვავალებს. ეს ფაქტი კი მიუთითებს იმაზე, რომ კრეტიენი გმობს სიყვარულს ქორწინების მიღმა.

რუსთველის გმირებისთვისაც ქორწინება შესაფერისი საცავია მათი სიყვარულისათვის [7, გვ. 6]. ავთანდილს თინათინი საჯაროდ ნანახი ჰყავდა მანამდეც და მას უხარია, რომ იგი დედოფალი გახდება, რადგანაც მისი ნახვის კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება. მისმა სილამაზემ მოხიბლა და „ნახის ცეცხლი განუახლდის, წყლული გახდის უფრო წყლულად“ [სტ. 42]. საკუთარი სიყვარული მათ თავიდანვე აღიარეს. როდესაც თინათინმა ავთანდილს დაავალა, ტარიელის საძებნელად წასულიყო, ის სიყვარულშიც გამოუტყდა: „აქანამდის ნაუბარსა თუცა ვერას ვერ-გეტყვია, მაგრა შორით სიყვარული შენგან ჩემი შემიტყვია, ვიცი, რომე გაუწყვედლად თვალთა ღაწვი გისეტყვია, შეუპყრიხარ სიყვარულსა, გული შენი დაუტყვია“ [სტ. 130]. ის ავალებს ავთანდილს მოძებნოს ტარიელი და, სანამ ავთანდილი დაიწყებდეს სამწლიან ძიებას, ორივენი ერთმანეთს სიყვარულს შეჰფიცებენ.

ამის მსგავსია ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის პირველი გამოცხადება. მართალია, ორივე ფარსადანის გაზრდილი იყვნენ, ისინი ერთმანეთს არ ხედებოდნენ, ყოველ შემთხვევაში, იმ დროისთვის მაინც, როდესაც მათ ზრდასრულ ასაკს მიაღწიეს. ტარიელმა დაინახა ის, როდესაც ნესტანის სახლში ასმათმა გადასწია ფარდაგი, რათა მიეღო დურაჯები, რომლებიც ფარსადანმა ქალიშვილს მიუტანა. ეს ის მომენტია, როდესაც ტარიელი სამი დღის განმავლობაში გულწასული იყო. თინათინის მსგავსად, ნესტანიც სიყვარულში უტყდება სატრფოს მისი დაბნელების შემდეგ დაწერილ წერილში: „ნუ დაიჩენ, ლომო, წყლულსა; მე შენი ვარ ... შენგან ჩემისა ქმრობისა წინასცა ვიყავ მნდომია, მაგრა აქამდის საუბრად კვლა ჟამი არ მომხდომია“ [სტ. 379-381]. ტარიელი დაემორჩილა მის ბრძანებას, შეეწყვიტა

ტირილი და წასულიყო ხატაელებთან საბრძოლველად. მათ ერთმანეთს სიყვარული შეჰფიცეს, როცა ტარიელი დაბრუნდა ომიდან. რუსთველის პოემაში გადაწყვეტილება დაქორწინების შესახებ მიუთითებს, რომ ავტორს იგივე აზრი აქვს ამ საკითხზე, რაც კრეტიენს.

მართალია, მკითხველი ხედავს ორ ავტორს შორის არსებულ ამ მსგავსებებს, მაგრამ განსხვავებებიც საკმაოდ ბევრია. ისეა, თითქოს მკითხველი რღვევის ხაზზე იდგეს, სადაც ტექტონიკური ფილები ოდნავაა წანაცვლებული ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით. ორი მხარე ზუსტად არ ემთხვევა ერთმანეთს. სიყვარულის განვითარება ერთ მნიშვნელოვან სხვაობას გამოავლენს კრეტიენსა და რუსთველს შორის.

*ერეკ და ენიდაში* და *ივენიში* კრეტიენი აღწერს სტრესულ ქორწინებას, უპირველეს ყოვლისა, იმ დისბალანსის გამო, რომელიც არსებობს შეყვარებულთა პირად სიყვარულსა და მათ საჯარო მოვალეობებს შორის. ამ დისბალანსის გამოსწორება, ღირსეული მოქმედებების მეშვეობით, თხრობის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა. რამდენადაც რუსთველის წყვილები თავიდანვე აცხადებენ თავიანთი სიყვარულის შესახებ, არ არსებობს სასიყვარულო სამკუთხედი, როგორც კრეტიენის ლანსელოტის და კლიუეს შემთხვევაში და ამის ნაცვლად, თხრობა კონცენტრირებულია ნესტანის და ტარიელის ხელახლა შეყრაზე [4, გვ. 243].

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ორ პოეტს შორის, არის ისეთი პერსონაჟის არსებობა, რომელიც თავიდანვე რაციონალურად ფიქრობს და მოქმედებს, კრეტიენის წყვილებისგან განსხვავებით, რომელთა სიყვარული გაუწონასწორებელია, ან ადიულტერს წარმოადგენს. ავთანდილის თვითკონტროლის ხარისხი განხილულია რამდენიმე მეცნიერის მიერ. ელგუჯა ხინთიბიძე აღნიშნავს, რომ ავთანდილის მხატვრული პერსონაჟის სახეს საფუძვლად უდევს არისტოტელეს „საშუალის“ ცნება, რაც „შუა საუკუნეების ლიტერატურისთვის შეყვარებულის აბსოლუტურად ახალ ტიპს წარმოადგენს“, მისი ემოციების მოთოკვის უნარის გამო. ასეთი კონტროლი მას საშუალებას აძლევს იმოქმედოს საკუთარი ნების მიხედვით და არა ქვევის იმ ნორმების შესაბამისად, რომელსაც მისგან მოელიან [8, გვ. 41; 9, გვ. 268-9, 294]. კულემანს ბეინენი ასევე აღიარებს

ამგვარ თვითკონტროლს, როდესაც იგი ინდოელი პერსონაჟების – ფარსადანის, ტარიელის და ნესტანის – იმპულსურობას მიჯნავს არაბი პერსონაჟების – როსტევეანის, ავთანდილის და თინათინის – რაციონალური აზროვნებისგან [2, გვ. 221].

რანდული ლიტერატურის სხვა შეყვარებულების მსგავსად ავთანდილს ახასიათებს ისეთი ნიშნები, როგორცაა ტირილი და ბედზე ჩვილი. მის მიერ ემოციების კონტროლი ნაჩვენებია იმით, თუ რამდენად ხშირად იკავებს ის ნეგატიურ ემოციებს. ამის მკაფიო მაგალითია მისი შეხვედრა ასმათთან, როდესაც ის ტარიელის ადგილსამყოფელს იპოვნის. მისი პირველი გეგმა ლოგიკურად იწყება: „რათგან ისი (ტარიელი) არის სადმე უცნობოდ და ისრე რეტად, რომე კაცსა არ მიუშვებს საუბრად და მისად ჭვრეტად, მივეწევი, შევიყრებით ერთმანეთის ცემა-ჟლეტად, ანუ მოჰკვლავ, ანუ მომკლავს, დაიმაღვის მეტის-მეტად“ [სტ. 217]. ამგვარად, ის იცდის, სანამ ტარიელი ისევ წავა, რათა მან ასმათთან საუბარი შესძლოს. აქ გეგმა აირევა: როდესაც ასმათი მიუახლოვდება, ის დაიჭერს მას და ცდილობს ძალით მიიღოს მისგან ინფორმაცია, იმდენად, რომ ყელზე დანასაც კი მიაბჯენს. ბოლოს ის დანებდება და საკუთარ თავს ეუბნება: „არ ეგების აწ ამისი ასრე თქმევა, სხვასა რასმე მოგონება სჯობს, საქმისა გამორჩევა“ [სტ. 244]. ამ დროს მისი ტირილით და სიტყვებით გამოჩნდება, რომ ის თავადაც შეყვარებულია და ასმათი ამას გაიგებს; მათ შეუძლიათ ისაუბრონ, რამდენადაც ორივე იტანჯება. ავთანდილის თვითკონტროლი ნათლად გამოჩნდება, როდესაც ის მიდის ფრიდონთან შესახვედრად, ცას შესტირის იმის გამო, რომ არც თინათინთანაც და არც ტარიელთან არ შეუძლია იყოს. თუმცა, ის დაასრულებს ტირილს სიტყვებით: „თუ დავრჩეო, ესე მიეჯობს – სიცოცხლისა იტყვის თუსა – ნუთუ მომხვდეს ნახვა მზისა (თინათინის), ნუ ვიზახი მიწყვი უსა“ [სტ. 967]. მისი ტანჯვა არ დამთავრებულა, მაგრამ მას გზის გაგრძელება შეუძლია. დარდის მიუხედავად, ინარჩუნებს თვითკონტროლს და ამით ამცირებს საკუთარ დარდს.

ავთანდილის და ტარიელის მეგობრული სიყვარული ერთმანეთის მიმართ, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავებაა კრეტიენის რომანებისგან, რომლებიც კონცენტრირებულია კაცსა და ქალს შორის სიყვარულზე. კრეტიენის ნაწარმოებებში არაფერია ნათქვამი ისეთი კავშირის

შესახებ, როგორც ავთანდილს და ტარიელს შორისაა, ასევე საერთოდ არაა ხაზგასმული ნაწარმოებში მეგობრობა.

კრეტიენის რომანებში რაინდებს შორის არის მეგობრობა და ამხანაგობა. თუმცა, ამ რომანებში ყველაზე ახლოსაა მეგობრობის მაგალითი გუივრეს და ერეკს შორის. ერეკის მიერ ორთაბრძოლაში დამარცხებული გუივრე პირდება, რომ ის ერეკის დასახმარებლად მოვა, როცა არ უნდა დასჭირდეს მას: „მათ ერთმანეთს აკოცეს და გადაეხვივნენ. ასეთი სასტიკი ბრძოლის შემდეგ დაშორება ასეთი მეგობრული არასოდეს ყოფილა, თითუღმა, სიყვარულით და დიდსულოვნებით მოიჭრა პერანგიდან განიერი ზოლი და ერთმანეთს ჭრილობები შეუხვიეს“ [6, გვ. 85].

ეს ორი რაინდი ერთმანეთს მაშინ ხვდება, როდესაც ერეკი სიკვდილის პირასაა. როდესაც გაიგებს ერეკის სიკვდილს, გუივრე წავა, რომ მისი ცხედარი ჩამოასვენოს, რათა პატივით დაკრძალოს იგი. თუმცა, ერეკი არ მომკვდარა. როდესაც ის დაინახავს, რომ გუივრე მას უახლოვდება, ვერ იცნობს და შეებრძოლება. ჩაერევა ენიდა და გუივრე მიჭვდება, რომ იგი მეგობარს ებრძოლება. ერეკი აპატიებს შეცდომას და გუივრე და მისი თანმხლებნი იქვე დარჩებიან ერეკის და ენიდას დასაცავად და მათთვის საჭმლის საშოვნელად. მეორე დღეს, როდესაც მეგობრები დაისვენებენ, გუივრეის წაიყვანს მათ ახლომდებარე ერთ-ერთ საკუთარ ციხე-კოშკში ერეკის და ენიდას გამოჯანმრთელებამდე. როდესაც წყვილი მზად იქნება დატოვოს მეფე არტურის კარი, გუივრე თან ეახლება მათ, მეგობრობის ნიშნად [6, გვ. 97-102]. მართალია, ეს ნამდვილად წარმოადგენს დიდი მეგობრობის მაგალითს, კრეტიენი არ აქცევს ამ მეგობრობას სიუჟეტის საკვანძო მომენტად. ფაქტობრივად, ნაწარმოების კულმინაციაა ლხინი სამეფო კარზე. *ვეფხისტყაოსანში* მეგობრობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვიდრე კრეტიენის ნაწარმოებებში. ავთანდილმა სამი წელი მოანდომა ტარიელის ძებნას, საწამ ისინი დამეგობრდებოდნენ და შემდეგ ერთი წელი დასჭირდა ნესტანის ადგილსამყოფელის საპოვნელად. გმირების მეგობრობა წარმოადგენს პოემის გადამწყვეტ მომენტს, რამდენადაც ავთანდილის მოქმედებები სცილდება დედოფლის მორჩილების ფარგლებს და საკუთარი არჩევანით ის მხარდაჭერას უწევს მეგობარს, თინათინის თანხმობით [8, გვ. 41; 4, გვ. 240-1]. მართალია, ავთანდილმა უკვე მისცა დაბრუნების პირობა

ტარიელს, ის მაინც იღებს თინათინის თანხმობას: „შენ არ-გატება კარგი გჭირს ზენაარისა, ფიცისა. ხაშს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა, ძებნა წამლისა მისისა და ცოდნა ხაშს უიცისა“ [სტ.708].

ავთანდილის როლი ამ სიტუაციაში არის ტარიელის გამოყვანა მისი უფუნქციო მდგომარეობიდან, ნესტანის პოვნის საშუალებით. ამ თვალსაზრისით, ჩვენ გვახსენდება ერეკი სამეფო კარზე ლხინის ეპიზოდში. პოემაში ამ მომენტისთვის ერეკმა არამარტო დაამყარა წონასწორობა პირად სიყვარულს და საჯარო სიყვარულს შორის საკუთარ ქორწინებაში, არამედ ახლა უკვე შეუძლია ასევე გააწონასწოროს მახოაგრენის და მისი შეყვარებულის ურთიერთობაც. ამის საპირისპიროდ, ავთანდილს უკვე აქვს ასეთი წონასწორობა საკუთარი თავის კონტოლის უნარის წყალობით. მას სურს თინათინთან დარჩენა და დარდობს მისგან სიშორეს, მაგრამ იღებს ტარიელის მოძებნისა და შემდეგ ნესტანის პოვნის გადაწყვეტილებას.

რუსთველის ორ გმირს შორის განსხვავება აღწერილია როგორც არისტოტელეს ლოგიკის, ასევე ნეოპლატონზმის აზროვნების იერარქიის მიხედვით [3]. ეს იერარქია ავთანდილს ადამიანის დონეზე აყენებს, ხოლო არისტოტელეს რაციონალობის მიხედვით, ტარიელი ამჟღავნებს ცხოველის თვისებებს, რამდენადაც მხოლოდ აღქმას ეყრდნობა. ვეფხის ტყავში მას შეუძლია მხოლოდ ნადირობა, იმისათვის, რომ საკუთარი თავი და ასმათი არჩინოს. ჯიქი (ლეოპარდი), როგორც ზოგჯერ თარგმნიან ცხოველის სახელს რუსთველის პოემის სათაურში [3], იდენტიფიცირებულია ადამიანის ქცევასთან, პოზიტიურად, მაგალითად, ბრძოლაში თუ ნადირობისას მისი კეთილშობილების და სიძლიერის გამო. თუმცა, ტარიელის დისფუნქციური განწირულობა ველზე ნადირობისას ამკარად ნეგატიურია.

ტარიელის შეტაკება ხვად ლომთან და ბუ ვეფხვთან უჩვენებს მის იერარქიულ ადგილს. პოემის ამ მომენტამდე ის ვეფხვის ტყავს ატარებდა, რამდენადაც ის მას ნესტანს აგონებდა: „რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს, ამაღ მიყვარს ტყავი მისი, კაზად ჩემად მომინახავს“ [სტ.659]. ის ამ შეტაკებაში ვეფხვს იმდენად თანაუგრძნობს – როგორც შეყვარებულს, რომ კლავს ლომს. ის მოელის, რომ ვეფხვი ისეთივე კეთილგანწყობას გამოიჩენს მის მიმართ, როგორც მან გამოიჩინა, მაგრამ ვეფხვმა ის ლამის სიცოცხლეს გამოასალმა. ვეფხვი მას ნესტანს აგონებს,

ხოლო ლომის თავდასხმა ვეფხვზე და ვეფხვის თავდასხმა მასზე მას გაახსენებს, როგორ გაბრაზებულები დაშორდნენ ერთმანეთს. აქ ის ყველაზე ცუდ მდგომარეობაშია პოემის მანძილზე, სიკვდილის პირას და სიკვდილის მსურველი. ავთანდილი მას ეკამათება „მინდორს სტირ და მხეცთა ახლავ, რას წადილსა აისრულებ? ვისთვის ჰკვდები, ვერ მიჰხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ“ [სტ. 877]. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ავთანდილი რამდენადმე დაამშვიდებს ტარიელს, მხოლოდ როდესაც ცხენზე შესვამს და მშვიდად ესაუბრება, როდესაც ისინი ნელა ბრუნდებიან გამოქვაბულში. როდესაც ავთანდილი საბოლოოდ აცნობებს მას ნესტანის ადგილსამყოფელის შესახებ, ტარიელის კეთილშობილი ბუნება თავს იჩენს და თავად კისრულობს ნესტანის დახსნას. კიდევ უფრო გასაოცარია მისი როლის ცვლილება პოემის ბოლოს, როდესაც ყველა არაბეთს ბრუნდება. რამდენადაც ავთანდილი ნესტანის საძებრად გაემართა, როსტევანის აკრძალვის მიუხედავად, მას ერიდება როსტევანთან მისვლა და თინათინის ხელის თხოვნა. აქ ტარიელი ჩაერვვა, „ბრძნად ნაკაზმი“ სიტყვებით, რათა აცნობოს როსტევანს ავთანდილის და თინათინის სიყვარულის შესახებ და მუხლზე დაიჩოქებს და სთხოვს მათი დაქორწინების ნებას. მისი შუამდგომლობა გაჭრის და როსტევანი შეასრულებს მის თხოვნას.

მეცნიერების კომენტარის მიხედვით, ორი გმირის დიდი მეგობრობა აღემატება შეყვარებულებს შორის სიყვარულის გრძნობას [7, გვ. 12; 8, გვ. 42]. როგორც წესი, მეგობრობა განიხილება, როგორც გამაკეთილშობილებელი გრძნობა, რომლის წყალობითაც ადამიანი სცილდება საკუთარი თავის სიყვარულის ფარგლებს და მიემართება სხვების სიყვარულის და მთლიანად საზოგადოების სიყვარულისკენ [4, გვ. 240-1]. მეგობრობის ცნების საფუძველია ქართული მშობის გრძნობა, ქრისტიანული ახლობლის სიყვარულის გრძნობა და არისტოტელეს სწავლება [9, გვ. 274]. თუმცა, მეგობრებს შორის სიყვარულის გრძნობა ტექსტში აღიარებულია, მაგრამ არაა გაანალიზებული. ამ თვალსაზრისით, ასეთი კვლევა შეიძლება სასარგებლო იყოს იმის დასადგენად, არის თუ არა რუსთველის პოემაში მეგობრობა შუა საუკუნეების დასავლურ ლიტერატურაში აღწერილი მეგობრობის ანალოგიური.

დასავლურ ლიტერატურაში კურტუაზული სიყვარულის ცნებების განხილვისას, დაიანა ფერელი მნიშვნელოვან საკითხს წამოჭრის:

პოემის პროლოგში ... რუსთაველი საკუთარ თავს სიმბოლურად დედოფალზე შეყვარებულად წარმოადგენს. დედოფალი, რომელსაც ის ხოტბას ასხამს, დაქორწინებულია. პროლოგში ის დედოფლის მეუღლესაც აერთიანებს, თუმცა, მისი გაღმერთება დედოფლისკენაა მიმართული. შექმნა რუსთაველმა კურტუაზული სიყვარულის პოლიტიკური ვერსია, როგორც ეს დედოფალ ელისაბედ პირველის კარზე ხდებოდა? ის არ ითხოვს საპასუხო გრძნობებს. მისი გრძნობები დედოფლისთვის პატივის მისაგებადაა განკუთვნილი [7, გვ. 59-60].

ჩემი პასუხი იქნება „დიახ“, მის სიტყვაზე „პოლიტიკური“ და „ალბათ“ – სიტყვაზე „შექმნა“. ენა და მოქმედებები ავთანდილს და ტარიელს შორის და ენა, რომლითაც ის მიმართავს თამარს შესავალში, გარკვეულ მსგავსებებს ავლენს ენასა და მოქმედებებთან დასავლეთში. გამაკეთილშობილებელი სიყვარულის ცნება შუა საუკუნეების დასავლეთის კულტურის პოლიტიკურ, სქოლასტიკურ, რელიგიურ და ლიტერატურულ არენაზე, ზუსტად ის თემაა, რომელსაც შეეხება სტეფან იაგერის გამაკეთილშობილებელი სიყვარული.

იაგერის აზრით, დასავლური საზოგადოებები, ანტიკურ ხანაში და ადრექრისტიანულ პერიოდში, ამას აღიქვამდნენ, როგორც ეთიკურ საკითხს, რომელიც სიყვარულს/მეგობრობას განაპირობებდა [10, გვ. 27-9]. შარლემანის დროისთვის, სიყვარულის ენა ასევე იყო კეთილშობილ მამაკაცებს შორის მეგობრობის ენა; ის ეროტიკული იყო, ან, ყოველ შემთხვევაში ეროტიკულად ჟღერდა, თუმცა, ეროტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა [10, გვ. 22].

ერთ-ერთ მის საყვარელ მაგალითში, იაგერს მოყავს მეთორმეტე საუკუნის ბოლოსა და მეცამეტე საუკუნის დასაწყისის ჟამთააღმწერელის, როჯერ ჰოვედონელის ციტატა, რომელიც შეეხებოდა ურთიერთობას რიჩარდსა და ფილიპს შორის, შატორუშში ფრანგების მიერ ინგლისელების ალყის დასრულებისას:

„რიჩარდი, აკვიტანიის ჰერცოგი, ინგლისის მეფის ვაჟი, დარჩა საფრანგეთის მეფე ფილიპთან, რომელიც მას ისეთ პატივს სცემდა, რომ ისინი ყოველდღე ერთ სუფრასთან ჭამდნენ, ერთი

თეზმიდან და საწოლებიც ვერ აშორებდა მათ ღამით. და საფრანგეთის მეფეს ის ისე უყვარდა, როგორც საკუთარი სული; და მათ ერთმანეთი ისე უყვარდათ, რომ ინგლისის მეფე გაოცებული იყო მათ შორის ძლიერი სიყვარულით და უკვირდა, თუ რას ნიშნავდა ეს“ [10, გვ. 11-12].

იაგერის განმარტებით, მართალია ამ პასაჟის მიხედვით, თანამედროვე მკითხველმა შეიძლება ამ ორი კაცის სექსუალურ ორიენტაციაზე აიღოს ეჭვი; მაგრამ, რამდენადაც ისტორიული დოკუმენტი, რომელიც მათ შორის ურთიერთობას აღწერს, საჯარო ხასიათისაა, მას სწორად გაიგებდნენ იმ დროს, როგორც მეგობრობის გადაჭარბებულად ხატოვან აღწერას და არა ჰომოსექსუალობას. შემდგომ, იაგერი განმარტავს, რომ ინგლისის მეფე „გაოცებულია“ ამ მეგობრობით: როგორ ზეგაყვანას ახდენს ის ომზე, არ ჩათვალონ, რომ მის ვაჟს და საფრანგეთის მეფეს შეიძლება სასიყვარულო ურთიერთობა აქვთ [10, გვ. 12].

იაგერი, მის ანალიზში, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობა ციცერონის De Amicitia, რამდენადაც ბერძენ ფილოსოფოსებს დასავლეთში მეცამეტე საუკუნემდე არ იცნობდნენ; თუმცა, მას მოჰყავს ციტატა არისტოტელეს ნიკომაქეს ეთიკიდან:

“კარგი ადამიანების მეგობრობა კარგია. ის მუდმივად იზრდება მჭიდრო ურთიერთობის მეშვეობით. და როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, მეგობრები იზრდებიან, ეთიკური ღირებულებების თვალსაზრისით. ესაა მოქმედებების მეგობრობა და ურთიერთსრულყოფა. რამდენადაც თითოეულ მათგანს უყალიბდება შესანიშნავი თვისებები, რომლებიც მოსწონს მას მის მეგობარში, იღებენ რა ისინი ერთმანეთს, როგორც მაგალითს” [10, გვ. 27].

მეგობრობა, არისტოკრატიულ დონეზე, ეს იყო ქვევა, რომელიც სცნობდა ძლევამოსილი პიროვნების ღირსებას და კეთილშობილებას, მოწიწებით, რაც გამოიხატებოდა ეროტიკული ენით. ეროტიკული ენა აკეთილშობილებდა პიროვნებას, რომელსაც ხოტბას ასხამდნენ: „ის უჩვენებს ღირსებას, ამაღლებს მდგომარეობას და აერთიანებს პოლიტიკურ მხარდაჭერას“ [10, გვ. 19]. ის განსხვავდება ქრისტიანული გულმოწყალებისგან (Christian Caritas), „მსგავსათა მიმართ სოციალური მოვალეობისგან“, რომელიც თანაარსებობდა ციცერონისეულ მეგობრობასთან ერთად [10, გვ. 31].

*ვეფხისტყაოსანში* სამი მაგალითი უჩვენებს მეგობრობის იაგერისეულ ანალიზთან მსგავსებას: ავთანდილს და ტარიელს, როგორც მეგობრებს შორის არსებული სიყვარული, რუსთველის ურთიერთობა თამარ მეფესთან, და ეპიზოდი ავთანდილს და ფატმანს შორის.

არისტოტელეს სწავლება უფრო ზუსტად განმარტავს ავთანდილის და ტარიელის ერთმანეთის მიმართ სიყვარულის ხასიათს, ვიდრე მეგობრის დახმარების სურვილი ან სიკეთის სოციალური აქტი. ტარიელის დისფუნქციური მდგომარეობის მიუხედავად, მისი შინაგანი ღირსება და კეთილშობილება აღიარებულია ენით, რომელიც აკეთილშობილებს მას. მთხრობელი ამას პირველად მაშინ ახსენებს, როდესაც ორი გმირი ერთმანეთს შეხვდება „ჰმართებს ორთავე შუე დარად, ანუ ცით მთვარე უღრუბლო შუქთა მოჰფენდეს ქვე ბარად“ [სტ. 283]. ავთანდილი მიმართავს მას „ლომო და გმირო ტარიელ“ [სტ. 287]. და მათი მოქმედება რიჩარდის და ფილიპის მქომედებების მსგავსია „მათ აკოცეს ერთმანერთსა, უცხოებით არ დაჰრიდეს ... ყელი ყელსა გარდააჰვდეს, ერთმანერთსა აუტირდეს“ [სტ. 284]. ასეთი ენა და ქცევა, რომლითაც მთელი პოემაა გამსჭვალული, მეცნიერების უმეტესობის მიერ განსაზღვრულია, როგორც კურტუაზული სიყვარულის მეტისმეტად ხატოვანი ენის მახასიათებელი. იაგერი დაგვეთანხმება, რამდენადაც ის განსაზღვრავდა კურტუაზულ სიყვარულს, როგორც კეთილშობილი ადამიანების ქცევას სამეფო კარზე და არა წესების კრებულს: თუ რა არის ან არ არის კურტუაზიული სიყვარული [10, გვ. 82]. მისი ანალიზი უჩვენებს ამ სიყვარულის ევოლუციას ანტიკური ხანიდან დასავლურ შუა საუკუნეებამდე და მას შემდეგაც კი.

იაგერი განსაზღვრავს, რომ მეგობრობის გამაკეთილშობილებელ სიყვარულში ქალი ჩაერთო, როგორც „გამაკეთილშობილებელი სასიყვარულო ურთიერთობის ძირითადი მონაწილე“ მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნეში, როგორც „არსებითი და მტკივნეული ცვლილება“ [10, გვ. 82]. ქალის ჩართვით, კაცების მეგობრობის ეროტიკული ენა/არაეროტიკული მნიშვნელობა მამაკაცთა მეგობრობისა განვითარდა და მოიცვა კაცების და ქალების ურთიერთობების სექსუალური შინაარსიც. ამავე დროს, მან შეინარჩუნა სიყვარულის, როგორც „მანერების და ღირსების სკოლის“ და ასევე

სიყვარულის, როგორც „ამაღლელებელი და პრესტიჟის მიმნიჭებელი ძალის“ უფრო ძველი ტრადიციები“ [10, გვ. 82].

რუსთველის შესავალი, სადაც ის თამარს ასხამს ხოტბას, ამჟღავნებს მისთვის სიყვარულის სიტყვებით მიმართვის უფრო ძველ ტრადიციას:

„ვის ჰშვენის, – ლომსა, – ხმარება შუბისა, ფარ–შიშშერისა, – მეფისა შზის თამარისა, ლაწვ–ბადახშ, თმა–გიშერისა, – მას, არა ვიცი, შევჰკადრო, შესხმა ხოტბისა შე-რისა“ [სტ. 3].

„მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი: ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი; დავუძღურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი: ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი“ [სტ. 8].

რუსთველი დედოფალს იმავე ენით მიმართავს, რა ენითაც საუბრობენ ავთანდილი და ტარიელი და ასევე ყოველი შეყვარებული ახსენებს მისი სიყვარულის საგანს. შესავალი წარმოადგენს საჯარო განცხადებას, რომელიც გათვალისწინებულია თამარის ღირსების აღიარების და მისი პრესტიჟის ამაღლებისთვის; ის არაა საჯაროდ განცხადებული სიყვარულის პრივატული აღიარება. ის პოლიტიკური ხასიათისაა, რამდენადაც განსაზღვრავს რუსთველის, როგორ ქვეშევრდომის ადგილს თამარის კარზე, ასახავს მეგობრობის ანტიკურ ცნებას, როგორც იაგერი აღწერს დასავლურ ტრადიციას.

ავთანდილის სექსუალური ურთიერთობა ფატმანთან წარმოადგენს სამი გამორჩეული მომენტის ილუსტრაციას, როგორც აღწერს იაგერი: კაცის და ქალის სექსუალური სიყვარული, გამაკეთილშობილებელი სიყვარული/მეგობრობა კაცებს შორის და *გულმოწყალებას* პირველი, როდესაც ავთანდილს ფატმანი სიყვარულს შესთავაზებს, ის ზიზღით პასუხობს და ფიქრობს: „რაცა მინდა, არა მაქვს, მაქვს რაცა, არ მომინდების“ [სტ. 1094]. მისი სიყვარული თინათინია და არა ფატმანი. მისი არჩევანი, მიიღოს ფატმანის წინადადება, განპირობებულია მხოლოდ ნესტანის შესახებ ინფორმაციის მიღების იმედით, რაციონალური გადაწყვეტილებაა, რომელსაც საფუძლად მისი მეგობრის, ტარიელის მიმართ მისი კეთილშობილი სიყვარული უდევს. რამდენადაც ფატმანი ვაჰრის ცოლია და ხშირად მისი არყოფნისას მოქმედებს, ის საკმაოდ კარგ

მდგომარეობაშია იმისათვის, რომ რაიმე ამბავი გაიგოს ნესტანის შესახებ. და ამგვარად, მან „სწორი გადაწყვეტილება მიიღო რთულ სიტუაციაში“ [5, გვ. 176]. მაგრამ როდესაც ის შეასრულებს ქალის სურვილს და მოკლავს ჭაშნაგირს, ის მოქმედებს ადამიანური სიკეთის გრძნობიდან – გულმოწყალებიდან – გამომდინარე [9, გვ. 44]. ქალმა მას უთხრა „მე და სრულად სახლი ჩემი დახოცასა დაგვხსენ ამით“ [სტ. 1107]. ავთანდილის გრძნობა ფატმანის მიმართ განსხვავდება როგორც სიყვარულისგან, რომელსაც ის თინათინის მიმართ გრძნობს, ასევე იმ გრძნობისგან, რომელიც მას ტარიელის მიმართ აქვს.

რუსთველმა კურტუაზული სიყვარულის მართლაც ის პოლიტიკური ვერსია შექმნა, როგორც ფერელს აინტერესებს? არსებობს ორი შესაძლებლობა, რომელთაგან პირველია ის, რომ ქართულ მწერლობაში არებობდა გამაკეთილშობილებელი სიყვარულის ცნება, რომლის ანალოგიურიც იპოვნა იაგერმა დასავლურ მწერლობაში. ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემამდე საჭიროა უფრო უკეთ იქნას შესწავლილი რუსთველამდე არსებული ქართული მწერლობა. თუმცა, ასეთი იყო, ა.გ. ბარამიძის მიხედვით, „მხოლოდ საეკლესიო და რელიგიური ლიტერატურა“ [1, გვ. 221]. ამას გარდა, რუსთველი იცნობდა ნეოპლატონურ ნაშრომებს, რომლებიც წინა საუკუნეში თარგმნა ეფრემ მცირემ და იოანე პეტრიწმა [7, გვ. 47; 9, გვ. 265-6], ისევე, როგორც არისტოტელეს, რომელიც პეტრიწმა თარგმნა [9, გვ. 265]. ეს, როგორც ჩანს, გამორიცხავს კურტუაზული სიყვარულის ხასიათის ნაწარმოებების არსებობას რუსთველამდე და დადასტურებს მოსაზრებას, რომ მან შექმნა პოლიტიკური კურტუაზული სიყვარულის ტიპი.

მეორე შესაძლებლობაა, რომ რუსთველი იცნობდა დასავლურ მწერლობას. კრეტიენის შემოქმედებას საფუძვლად ედო ლათინური მწერლობა. კლიეეს პროლოგში პოეტი აცხადებს, რომ მან თარგმნა ოვიდიუსის სიყვარულის წამალი და სიყვარულის მეცნიერება და ასევე მხარზე კბენა, ოვიდიუსის *მეტამორფოზების*, მე-6 წიგნიდან. ამ ნაშრომების ხელნაწერები ნაპოვნი არაა, თუკი ისინი მართლაც არსებობდა ოდესმე; თუმცა, მისი განცხადება, რომ მან ისინი თარგმნა, აშკარად მიანიშნებს, რომ ის მათ იცნობდა. *მეტამორფოზებიდან* „ოფოფის“, „მერცხლის“ და „ბულბულის“ თარგმანები შესაძლოა მისი იყოს, ალეგორიული ტრაქტატის *მეტამორფოზების* XIII საუკუნის

ხელნაწერიდან. თუმცა, ეს დაუდგენელია [6, გვ. 3-4]. ოვიდიუსის გარდა, ის აშკარად იცნობდა ბოეთიუს მარტიანუს კაპელას და მაკრობიუსს [8, გვ. 40; 15, გვ. 42-25]. მისი მფარველების, მარი დე შამპანის და ფილიპის თარიღების გათვალისწინებით. სავარაუდოდ, კრეტიენის რომანები დაწერილია დაახლოებით 1160-1190 წლებში [6, გვ. 4-5].

მეცნიერები თანხმდებიან, რომ რუსთველის ლიტერატურულ ცოდნას საფუძვლად ედო აღმოსავლური ლიტერატურა და კულტურა და არა ლათინური [7, გვ. 48; 8, 262-65; 3]. ის იცნობდა გურგანის *ვისრამიანს*, ნიზამის *ლეილა და მაჯნუნს* და ფირდოუსის *შაჰ-ნამეს*, რამდენადაც ისინი მის პოემაშია ნახსენები [7, გვ. 11; 13, გვ. xiv-xix]. რაც შეეხება იმას, იცნობდა თუ არა რუსთველი კრეტიენის რომანებს ან დასავლურ კურტუაზულ ლიტერატურას ზოგადად, მეცნიერებს არ დაუდგენიათ პირდაპირი კავშირი. ორ მწერალს შორის მსგავსებების ყველაზე ზუსტი ახსნა გამოთქმულია ფრაზებით, როგორცაა „საერთო კულტურული ფონი“ [3] და „ურთიერთშერევა“ ვაჰრობისა და ომის მეშვეობით [12, გვ. 25-6]. მართალია, არ აღმოუჩენიათ პირდაპირი დამოკიდებულება აღმოსავლეთსა და დასავლეთში კურტუაზულ სიყვარულს შორის; ფერელის ვარაუდით, კურტუაზული სიყვარული შესაძლოა გავრცელებულიყო მეთორმეტე საუკუნეში და ასკვნის, რომ რუსთველის პოემა ეყრდნობა ნეოპლატონიზმს, რომელიც გავრცელებული იყო როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთშიც [7, გვ. 4, 57].

და ბოლოს, მრავალი ნიშანი, რომელიც დაკავშირებულია კურტუაზულ სიყვარულთან, ჩანს როგორც კრეტიენის, ასევე რუსთველის ნაშრომებში. რაც უფრო მნიშვნელოვანია, ორივე პოეტი დარწმუნებულია, რომ კაცს და ქალს შორის ეროტიკული სიყვარული სათანადო ადგილს პოულობს ქორწინებაში. თუმცა, მნიშვნელოვანია სიყვარულის აღწერებს შორის არსებული განსხვავებები. კრეტიენის აზრით, შეყვარებულებმა საკუთარი გზა უნდა იპოვნონ იმისათვის, რომ ქორწინებაში გააწონასწორონ მათი პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება, ან მათ დაგმობენ ადიულტერისთვის. მეორეს მხრივ, რუსთველი მკითხველს წარმოუდგენს ავთანდილს, რომელიც უკვე არის წონასწორობის, გონიერების და თვითკონტროლის მაგალითი, მას შეუძლია საკუთარი ნეგატიური ფიქრების კორექტირება, როდესაც მას

იმედი ეწურება და ის ტარიელს კვლავაც ღირსებისა და კეთილშობილების მდგომარეობას დაუბრუნებს. გმირების მეგობრობა აშკარად მნიშვნელოვანია და მას, სავარაუდოდ, საფუძვლად უდევს გამაკეთილშობილებელი სიყვარულის/მეგობრობის ცნება, რომელიც კაცების ღირსებასა და კეთილშობილებას სცნობს და რომელიც, შუა საუკუნეების დასავლეთში გამოიხატება ეროტიკული ენით, ეროტიკული მნიშვნელობის გარეშე.

კრეტიენისა და რუსთველს შორის არსებული მსგავსებები და განსხვავებები გვიჩვენებს, რომ ეს ორი ავტორი რღვევის ხაზთან ხედება, სადაც ზუსტად იმდენი მსგავსება და განსხვავებების სიმრავლეა ორივე მხარეს, რომ შესაძლებელი ხდება გაგრძელებას სამეცნიერო დიალოგი.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. Baramidze, A.G. "A Georgian Perspective." *The Lord of the Panther-Skin*. Trans. H. H. Stevenson. Albany, NY: SUNY, 1977. 221-40.
2. Beynen, G. Koolemans. "Adultery and Death in Shota Rustaveli's *The Man in the Panther Skin*." *Courtly Arts and the Art of Courtliness. Selected Papers from the Eleventh Triennial Congress of the International Courtly Literature Society*. Eds. Keith Busby, Christopher Kleinhenz. Cambridge: D. S. Brewer, 2006. 219-36.
3. Beynen, G. Koolemans (Bert). "Neoplatonic or Aristotelian: Arabs and Indians as Philosophical Entities in Shota Rustaveli's *The Man in the Panther Skin*." *The Kartvelologist*. <http://kartvelologi.tsu.ge/index.php/en/journal/inner/17>. Accessed August 6, 2014.
4. Beynen, G. Koolemans. "Shota Rustaveli and the Structure of Courtly Love." *The Court and Cultural Diversity: Selected Papers from the Eighth Triennial Congress of the International Courtly Literature Society*. Eds. Evelyn Mullally, John Thompson. Cambridge: D. S. Brewer, 1997. 239-48.
5. Beynen, G. Koolemans. "Violence and Communication in Shota Rustaveli's *The Lord of the Panther-Skin*." *Violence in Medieval Courtly Literature: A Casebook*. Ed. Albrecht Classen. New York: Routledge, 2004. 169-86.

6. Chrétien de Troyes. *Arthurian Romances*. Trans. William W. Kibler. *Erec and Enide* trans. Carleton W. Carroll. London: Penguin, 1991.
7. Farrell, Dianne Ecklund. "Courtly Love in the Caucasus: Rustaveli's Georgian Epic, *The Knight in the Panther Skin*." *The Carl Beck Papers in Russian and East European Studies*. No. 2205. Accessed August 2, 2014.
8. Khintibidze, Elguja. "Lancelot and Avtandil." *The Kartvelologist: Journal of Georgian Studies* 9 (Autumn 2002). 30-46.
9. Khintibidze, Elguja. *Medieval and Renaissance Trends in Rustaveli's "vephkistkaosani" ("The Man in the Panther's Skin")*. Tbilisi, 1993. English extended summary pp. 262-95.
10. Jaeger, C. Stephen. *Ennobling Love: In Search of a Lost Sensibility*. Philadelphia: University of Pennsylvania, 1999.
11. Noble, Peter S. *Love and Marriage in Chrétien de Troyes*. Cardiff: University of Wales, 1982.
12. Rustaveli, Shota. *The Knight in the Panther Skin*. Trans. Katharine Vivian. London: The Folio Society, 1977.
13. Rustaveli, Shota. *The Lord of the Panther Skin*. Trans. R. H. Stevenson. Albany, NY: SUNY, 1977.
14. რუსთველი შოთა, *ვეფხისტყაოსანი, I*, ტექსტი და ვარიანტები (ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით), თბილისი 1966
15. Uitti, Karl, with Michelle A. Freeman. *Chrétien de Troyes Revisited*. Twayne's World Authors Series Revisited: French Literature. New York: Twayne, 1995.

**East Meets West Along a Fault Line: Love in Shota Rustaveli's  
*The Man in the Panther's Skin* and Chrétien de Troyes'  
Arthurian Romances**

**Sally Newell**

*Independent Scholar, M.A., Duke University*

**Abstract:** Given the proximity in time of Chrétien de Troyes and Shota Rustaveli and some similarity in their writing, this paper examines the portrayal of love in Rustaveli's *The Man in the Panther's Skin* and the romances of Chrétien de Troyes. Close reading of the texts supports the position that for both poets, marriage, not adultery, was the proper fulfillment of love. Looking more closely at the development of love within the text, however, differences emerge. In Chrétien's romances, the married couples strengthen their love by finding the proper balance between their private love and their public lives, and adulterous couples are viewed negatively. In *Avtandil*, Rustaveli shows us a hero who already thinks and acts rationally from the beginning and whose love is not questioned. He is able to maintain emotional control by self-correcting his moments of grief and despair when he is parted from Tinatin. His role in the poem is not merely to find Nestan, but to restore the nobility and virtue which is inherent in Tariel. Rustaveli also develops the friendship-love between male characters far more than Chrétien does in his romances. An analysis of the love between *Avtandil* and *Tariel* shows some similarities to the Neoplatonic concepts of friendship between noble men which developed in the Western Middle Ages. There are striking similarities between the two poets, but the differences indicate that they developed independently of each other.

**Keywords:** „*The Man in the Panther's Skin*“, *Rustaveli*, *Chrétien de Troyes*, *marriage*, *friendship*, *love*

Near the beginning of Shota Rustaveli's powerful poem *The Man in the Panther Skin*, King Rostavan, Avtandil, and other attendants of the king encounter Tariel, who is beside a stream weeping [14, v. 84-97]. Tariel does not reply when the king's messenger addresses him, and he kills or injures the men who try to bring him to the king forcibly. This is a startling and exciting event for Western readers familiar with the romances of Chrétien de Troyes because it so closely resembles an episode in the romance of Perceval [6, pp. 432-436]. Chrétien's knight is rapt in contemplation over three drops of blood on the snow that remind him of his lover's rosy cheeks to such an extent that he fails to hear Arthur's messenger Sagremor, who wants to escort him to King Arthur. Furthermore, Perceval severely wounds Sir Kay, who is sent next. As readers continue Rustaveli's story, however, they realize that in spite of many similarities between the Eastern and Western romances, Rustaveli's story is also very different. This paper attempts to identify the common points of view but also the nature of the differences between them.

Readers will easily find many similarities between Rustaveli's poem and the romances of Chrétien in the behavior of the couples. Lovers in both Chrétien and Rustaveli show the familiar symptoms of love: men and women alike praise their lovers' beauty; they sigh, turn pale and wither, weep, tear their hair or clothing, scratch their faces. Eastern and Western lovers alike agonize through inner monologues debating the cruelty of Fate, whether their love is returned by the other, and the painful absence of their lovers. They fall into reverie, swoon, and even go mad. Although modern readers might find these symptoms excessive, they in fact indicate the great power of the emotion and the strength of the hero [2, p. 223; 4, p. 242]. In addition to the scene from Perceval referred to earlier, Lancelot has his own reveries. On his way to the Sword Bridge, he is so wrapped in his thoughts about Guinevere that he "forgot who he was; he was uncertain whether or not he truly existed; he was unable to recall his own name..." [6, p. 216]. When a knight knocks him off his horse into a stream, only the cold water revives him. Tariel falls into a three-day swoon when, as an adult, he first sees

Nestan [14, v. 332, 336]. At the extreme end of despair, he is as the reader sees him in the beginning of the poem, unable to do anything more than wander like an animal [14, v. 572].

The most significant similarity, however, demonstrates the shared view of both writers: love finds its proper fulfillment in marriage [7, p. 6; 11, p. 8; 10, p. 187]. Chrétien's portrayal of public and private life with regard to the couples is one indication of this viewpoint. In *Erec and Enide* and *Yvain*, the plot centers on couples whose love within their marriage lacks a balance between public and private life. Erec and Enide are so absorbed in their love that they neglect their court:

